გიორგი **შაკიაშვილი**. **დიპლომატიის ქვესტრიქონები**. – თბ., 1999. – 207 გვ.: რუკა, 20 სმ. 400 ეგზ.

ვალერიან **ჭანია**. **პოლიტოლოგიის საფუძვლები**: (სახელმძღვ. სტუდ-თვის. / სოხუმის ჰუმანიტ.-ეკონ. ინ-ტი. – თბ.: ბედია, 2000. – 262 გვ.; 20 სმ.

გია **ხუბუა**. **ფედერალიზმი და სეცესიის უფლება**. – თბ., 1999. – 64 გვ.; 20 სმ.

გია **ხუბუა**. **ფედერალური წესრიგის დუალიზმი**: (ინტეგრ. და დეზინტეგრ. ელემენტი მართვის ფედერალ. სისტემებში). – თბ., 1999. – 74 გვ.; 20 სმ.

ქეთევან **ჯიჯეიშვილი**. **ნიკო ნიკოლაძე სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების შესახებ** / საქ. ი. ჭავჭავაძის სახ. საერთ. სამეც. კულტ. საგანმ. კავშირი „საზ-ბა ცოდნა“. – თბ.: ს/ს „პირველი სტამბა“, 1999. – 444 გვ.; 20 სმ.

გიორგი **ჯულაყიძე**. **სტალინის მხატვრული კრედო**. – თბ., 1999. – 125 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ.

### ● ეკონომიკა და ეკონომიკური მეცნიერებანი

ა. **არსენაშვილი**, ნ. ჯიქია. **ეკონომიკური კვლევის მათემატიკური საფუძვლები**: (ლექციების კურსი) / თსუ. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2000. - 20 სმ. ნაწ. 1: ეკონომეტრიკის საფუძვლები და წრფივი პროგრამირება. – 2000. – 232 გვ. 530 ეგზ. ISBN 99928-77-54-5

გიორგი **ბაბუნაშვილი**. **საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების აქტუალური საკითხები**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 32 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

თეიმურაზ **ბაბუნაშვილი**. **საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები**. – თბ.: მეცნიერება, 2000. – 354 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-51-59-7

დევიდ **ბეგი** და სხვ. **ეკონომიკა**: [თარგმ. ინგლ.] / დევიდ ბეგი, სტენლი ფიშერი, რუდიგერ ბორნბუში; [მთარგმნ.: მზია თულიანი და სხვ.]. – თბ.: ცისარტყელა, შპს სტ. „ქართული ფილმი“, 1999. – 527 გვ.; 30 სმ.

ნ. **ბიჭიაშვილი** და სხვ. **საბაზრო ეკონომიკა და მარკეტინგული გამოკვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები** / ნ. ბიჭიაშვილი, ბ. ლაგვილავა, ლ. ქადაგიშვილი. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა: უნივერსალი, 2000. – 44 გვ.; 20 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-77-07-36

თამარ **გელდიაშვილი**. **მოსახლეობის მომსახურების თანამედროვე ფორმების განვითარების წანამძღვრები**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 30 გვ.: ცხრ., 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-31-19-7

მერაბ **გველესიანი**. **ეკონომიკსი**: ლექციების მოკლე კურსი. – თბ.: კომენტარი, 2000. – 152 გვ.: ნახ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-801-1-2

მერაბ **გველესიანი**. **ეკონომიკური თეორია: საგანი, პრობლემები, ამოცანები**. – თბ.: კომენტარი, „კაბადონის“ სტ., 1999. – 60 გვ.; 20 სმ.

**გიორგი ადეიშვილი**: ცხოვრება, მოღვაწეობა, მოგონებები / [შემდგ. – რედ. როზეტა ასათიანი].

## ახალი წიგნები

*ეტიკეტი*

### „ქეიფს ვიწყებ დილიდან...“




**ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი; [რედ. ზეინაბ სარაძე]. – თბ.: CIPДД, 2000. –(დისკუსიები კავკას. ინ-ტში, 4/ სერიის რედ. გია ნოდია). ISBN 99928-37-1-02**

ქართული სუფრა უპირატესად აღიქმება, როგორც ერთგვარი სოციალურ-კულტურული გამოხატულება, ასევე წარსულში ჩასახული კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია.

შესაძლებელია, რომ ქართული სუფრის შესახებ შეკითხვები სხვადასხვაგვარად იყოს ფორმირებული, მაგრამ ის, რომ კითხვები არსებობს და ინტერესი დიდია, დაადასტურა კავკასიურ ინსტიტუტში გამართულმა დისკუსიებმა. ინსტიტუტისა და გამომცემლობა ფონდ „ქორდეიდის“ დახმარებით შეიქმნა წიგნი „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოება“. მასში გაშუქებულია შემდეგი საკითხები: სადღეგრძელო და მისი კომპეტენტური ბუნება; ნადიმი და პოლიტიკა; ქართული სუფრა კულტურულ კონტექსტში; ქართული სუფრის სოციოფილოსოფია და სხვ. მასში დაბეჭდილია აგრეთვე ჰელგა ქოთჰოფის სტატია – „ქართული სადღეგრძელო“. წიგნი გადმოგვცემს კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელთა შეხედულებებს ქართული სუფრისა და სამოქალაქო საზოგადოების შესახებ, რომლებიც მათ ა. წ. 8 ივლისს ამ საკითხზე გამართულ დისკუსიაზე წარმოადგინეს.

*ისტორია*

### საუკუნის საიდუმლო




**ალექსანდრე შუშანაშვილი. წიწამურის ტრაგედია. – თბ.: ორიონი, 2000. – 207 გვ.; 20 სმ.**

ავტორის აზრით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეების სამართლებრივი ასპექტის შესწავლა დღემდე არ მომხდარა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიმართულებით კვლევას ისახავს მიზნად. წიგნში მოცემულია მკვლელობის საქმეების ანალიზი და სამართლებრივი შეფასება, კრიტიკულადაა განხილული ამ დანაშაულთან დაკავშირებული ვერსიები და ვარაუდები, დახასიათებულია მკვლელობის გარემოებათა გასარკვევად შექმნილი საზოგადოებრივ და სახელმწიფო კომისიების საქმიანობა. გამოტანილი დასკვნები და მოსაზრებები შეჯერებულია მეცნიერულ და ლიტერატურულ წყაროებთან.

*საარქივო საქმე*

### საჭირო წიგნი



**საქართველოს არქივები: ცნობარი-მიმოხილვა / საქ. საარქივო სახ. დეპარტამენტი; [მთ. რედ. ზურაბ მახარეძე]. – თბ.: შპს „დიქსი“, 2000. – 214 გვ.; 23 სმ.**

საქართველოს ისტორიის წარსულის სრულყოფილად გაშუქება შეუძლებელია წერილობითი წყაროების, საარქივო დოკუმენტების გარეშე. დღევანდელი საზოგადოებისათვის მეტნაკლებად უცნობია საქართველოში არსებული საარქივო დაწესებულებების სრული ნუსხა და მათში შემავალი საარქივო ფონდების სტრუქტურა.

ამ ფაქტს ითვალისწინებს წიგნი, რომლის მიზანია ზოგადად გააცნოს დაინტერესებულ საზოგადოებას და მკვლევართა ფართო წრეს საქართველოს არქივების მოკლე ისტორია და მათი დღევანდელი მდგომარეობა, დოკუმენტური ინფორმაციის გამოყენების ფორმები და მეთოდები, საარქივო დარგის ამაგდარნი, ქართველ არქივისტთა საერთაშორისო კონტაქტები, საკანონმდებლო ბაზა, საქართველოს სახელმწიფო საარქივო დაწესებულებების მისამართები და ა. შ.

ცნობარი-მიმოხილვა გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოში საარქივო დარგის ისტორიით და მისი დღევანდელი მდგომარეობით დაინტერესებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებს, მკვლევარებს, სპეციალისტებს, უმაღლესი სასწავლებლების იმ სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ არქივთმცოდნეობას, საქმისწარმოებასა და არქეოგრაფიას.

ცნობარ-მიმოხილვას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები, დოკუმენტური ფოტოილუსტრაციები, საჭირო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები.

## ● ახალი წიგნები

### ბიბლიოგრაფია ●

*ისტორია, არქეოლოგია*

## დმანისი – არქეოლოგიის ცენტრი




**დმანისი**: [კრებული] / საქ. მეცნ. აკად. არქეოლ. კვლევის ცენტრი, დმანისის ისტ. – არქეოლ. განყ-ბა; [რედ. ჯუმბერ კოპალიანი]. – თბ.: მეცნიერება, 2000. – 26 სმ. [კრ.] 2. – 2000. – 328 გვ.: სურ. – ISBN 99928-51-83-x: 300 ეგზ.

კრებულში წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის (1936-37 წწ.) პირველი ხელმძღვანელის ბატონ ლევან მუსხელიშვილის ნათელ ხსოვნას. კრებულში შეტანილია მისივე ნაშრომი დმანისზე, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა, აგრეთვე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის დ. ბერძენიშვილის ვრცელი და საინტერესო ნაშრომი „დმანისხევი", ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ვალერი სილოგავას „ქვემო ქართლის წარწერები", ახალგაზრდა მკვლევარის ქ. ქუთათელაძის სტატია „იტაშირ-ძორაგეტის სამეფო X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის I ნახევარში," ჯ. კოპალიანის საინფორმაციო სტატია, რომელშიც მოთხრობილია დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებული პალეოლითური ძეგლის მეცნიერული კვლევის მიმდინარეობაზე, დმანისში ჩატარებულ პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე ბოლო წლების სენსაციურ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე და სხვ.

*სპორტი*

## ცნობარი ჭიდაობის ქომაგებისათვის




**გაბრიელ ბარჯაძე**. ქართული, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი, სამბო, ძიუდო, სუმო: ჭიდაობის ცნობარი. – თბ., 2000. – 157 გვ.: ილ.; 20 სმ.

სპორტულმა ჟურნალისტმა, სპორტის ოსტატმა გაბრიელ ბარჯაძემ კიდევ ერთი წიგნი შემატა ქართული სპორტის ლიტერატურას. ქართველი მკითხველი, ალბათ, იცნობს მისი ავტორობით გამოცემულ წიგნებს: „მინაზე, წყალზე, ჰაერში" – 1985; „რეგბი, რეგბი!.." – 1988; „ლელო-ბურთის ქრონიკები" – 1991; „ერთ გუნდში" – 1993; „მარაო თოვლზე" – 1994; „ძველი წრე" – 1995; „ქართული სიჩაუქე" – 1997; „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია" – 1998; „ლელოს შვილები" – 1999; და ეს ილუსტრირებული ცნობარი, რომელიც გათვალისწინებულია ჭიდაობის ქომაგებისთვის, ძველი და ახალი თაობის მოჭიდავეებისა და სპეციალისტებისათვის. მასში ცალკეული თავები აქვს დათმობილი ქართულ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, ასევე ძიუდოს, სამბოს და სუმოს.

ამას გარდა, წიგნში აღნუსხულია საქართველოს ფალავნების (აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვებულების) სრული სია. ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების შედეგები, ასევე წარმოდგენილია ჩემპიონებისა და პრიზიორების მწვრთნელები, საერთაშორისო და ეროვნული კატეგორიის მსაჯები.

## თამაშობას რა უნდა?




**იაკობ ახუაშვილი**. თამაშობანი: 240 გასართობი თამაში. – თბ.: შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე", 2000. – 172 გვ.: სურ.; 20 სმ.

წიგნში აღწერილია სხვადასხვა სახის მოძრავი, წყნარი, მუსიკალური, ფიზკულტურულ-სპორტული და საბავშვო თამაშობანი, ატრაქციონები, თავსატეხები, ვიქტორინები... თამაშობათა თითოეულ ჯგუფს ახლავს მოკლე მეთოდიკური მითითებანი, სურათები, თავსატეხებსა და ვიქტორინებს კი – პასუხები. წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, საბავშვო ბაღებს, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მშობლებს. წიგნი დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.

– თბ.: სიახლე, 2000. – 104. გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-811-0-0

ნასყიდა **დარბუაშვილი**. **ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის კონცეფტუალური მიმართულებანი**. – თბ., 1999. – 90 გვ.; 20 სმ.

**ეკონომიკის აქტუალური საკითხები**: (სამეცნ. ნაშრომთა კრებული) / თსუ; [სარედ. კოლ.: ... ლ. ყორღანაშვილი (მთ. რედ.) და სხვ.]. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, შპს ფირმა „ატლასი",1999. – 20 სმ. გამოშვება 9. – 1999. – 150 გვ. – 200 ეგზ.

ლალი **ვარდიშვილი**. **კონკურენტული გარემოს ფორმირების მეთოდების სრულყოფა საქართველოში** / გორის სახ. უნ-ტი. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 48 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-77-15-4

შოთა **ვეშაპიძე**. **ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები**. – თბ.: ს/ს „პირველი სტამბა", 1999. – 296 გვ.; 20 სმ.

ჟანა **თოლორდავა**. **მმართველობითი კონსულტირების პრობლემები**: (თეორია და პრაქტიკა). – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 307 გვ.: ცხრ.; 25 სმ. ISBN 999928-56-11-4

მერაბ **კაკულია**, ნანა ასლამაზიშვილი. **დოლარიზაცია საქართველოში**: მასშტაბები, ფაქტორები, დაძლევის გზები / საქ. მეცნ. აკად., ეკონომიკის ინ-ტი. – თბ., 2000. – 117 გვ.; 20 სმ.

იგორ **კვესელავა**. **გარდაქმნა („პერესტროიკა") და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები საქართველოში**. – თბ.: ინტელექტი, 1999. – 20 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-67-40-x

იგორ **კვესელავა**. **საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი**. – თბ., გამ-ბა „სამშობლოს" სტ., 1999. – 63 გვ.; 20 სმ. 300 ეგზ.

მარინე **კობალავა**. **მომსახურების ბაზარი და მისი განვითარების კანონზომიერებები**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა: ინტელექტი, 1999. – 12 გვ.; 20 სმ.

რევაზ **ლორთქიფანიძე**. **ეკონომიკის თეორიული საფუძვლები**: (დამხმ. სახელმძღვ. ეკონომიქსისა და საერთ. ეკონ. ურთიერთობათა დისციპლინებში) / ბათუმის სამართლის ინ-ტი, თეორ. ეკონომიკისა და საერთ. ეკონ. ურთიერთობათა კათედრა. – ბათუმი: იურიდ. ლიტ., ს.ს. „სტამბა", 2000. – 56 გვ.: სურ., 20 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-49-04-5

თამაზ **მაღლაკელიძე**. **გადასახადები და მაკრო-ეკონომიკური რეგულირება**. – თბ.: სიახლე, 1999. – 160 გვ.: ცხრ., 20 სმ. 1000 ეგზ.

ნ. გრეგორი **მენკიუ**. **მაკროეკონომიკა** / [მთარგმნ.: თენგიზ ჭიაბრიშვილი]. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 60 გვ.: ნახ., 19 სმ. 300 ეგზ. ISBN 99928-31-39-1

რუიზან **მექვაბიძე**. **ეკონომეტრიკა**. - (1-ლი გამოც.). – გორი: საერთ. საკომ. და საინფ. ცენტრი, 1999. – 120 გვ.: ცხრ.; 29 სმ.

შოთა **ნადირაშვილი**, რევაზ კრიჭინაშვილი. **კერძო სექტორის ფორმირების თავისებურებანი და ტენდენციები ვაჭრობაში**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა), 1999. – 60 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-31-93-6

რამაზ **ნამიჭეიშვილი**. **საბაზრო ეკონომიკა: დამამუხრუჭებელი მექანიზმები და განვითარების მაკროპირობები**. – ქუთაისი: საქართველო, № 6 სტ., 1999 . – 212 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

მანანა **ნანიტაშვილი**. **სამომხმარებლო ბაზრის კონცეფციის შესახებ გარდამავალ პერიოდში** / გორის სახ. უნ-ტი. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა: ინტელექტი, 1999. – 84 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-77-99-5

მანანა **ნანიტაშვილი**. **სასაქონლო მიმოქცევის როლი და მისი რეგულირების საკითხები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში** / გორის სახ. ეკონ.-ჰუმანიტ. ინ-ტი. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა 1999. – 45 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-31-47-2

**ნორმატიული აქტების კრებული მიწის საკითხებთან დაკავშირებით: ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებისთვის** / სარედ. კოლ.: ნინო ბაქაქური, ზურაბ ჟივიძე. – თბ.: საია, [1999]. – 101 გვ.; 29 სმ.

ნუგზარ **პაიჭაძე**. **შრომის ეკონომიკა**: [სახელმძღვ. უმაღ. სასწ. ეკონ. პროფილის სტუდ.]. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2000. – 559 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-77-86-3

ვლადიმერ **პაპავა**, ნინო მიქიაშვილი. **კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა**: (მაკროეკონომიკური მოდელირება) / საქ. მეცნ. აკადემია. – თბ.: მეცნიერება, 1999. – 106 გვ.; 20 სმ.

ვლადიმერ **პაპავა**. **საბაზრო თანასწორობის დოქტრინა** / საქ. მოქალაქეთა კავშირი. – თბ., 1999. – 28 გვ.; 20 სმ.

ვლადიმერ **პაპავა**. **საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში**: მიღწევები და შეცდომები. – თბ., 2000. – 168 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-0-044-5

**პროგრამა შრომის დაცვის კურსში** / სტუ; [შემდგ.: ლ. ჩხაიძე]. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 1999. – 14 გვ.; 19 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-36-76-8

**საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო, 1992-2000**: დახმარების მიმოხილვა, თბილისი, მარტი. – თბ., 2000. – 151 გვ.; 29 სმ.

**სავალუტო კრიზისი**: **ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები** / [ავტ.: რომან გოცირიძე და სხვ.]; საქ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. – თბ.: ეტრატი, 1999. – 171 გვ.; 26 სმ.

**სამომხმარებლო ფასების ინდექსები, 1999**: სტატ. კრებული / საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი; [რედ.: ე. ჩიქოვანი]. – თბ., 2000. – 32 გვ.; 20 სმ.

**საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან**: პრობლემები, პერსპექტივები: სამეცნ. პრაქტ. კონფერენციის მასალები, 2000 წლის 17 მაისი: (კრებული) / თსუ, საქ. ეკონომისტთა საზ-ბა, საქ. ეკონ. მეცნ აკადემია; [სარედ. კოლ.: ელგუჯა მექვაბიშვილი (რედ.) და სხვ.]. – თბ.: სიახლე, 2000. – 114 გვ; 20 სმ. 150 ეგზ. ISBN 99928-811-2-7

**საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2000 წლის ინდიკატიური გეგმა** / საქ. ეკონომიკის სამინისტრო. – თბ., 2000. – 192 გვ.: ცხრ.; 20 სმ.

**საქართველოს ეკონომისტთა კავშირი. წესდება**: მიღებული ეკონომისტთა კავშირის დამფუძნ. ყრილობაზე. – [თბ., 1999]. – 8 გვ.; 20 სმ.

**საქართველოს ეკონომისტთა კავშირი. პროგრამა**. – [თბ., 1999]. – 7 გვ.; 20 სმ.

**საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება** / [ავტ.-შემდგ.: არჩილ ცერცვაძე, ლევან კალანდაძე; რედ.: დავით წერეთელი; მთარგმნ.: ნინო სანიკიძე]. – თბ., 2000. – 72 გვ.; 28 სმ.

**საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 2000 წ. იანვარი-მარტი** / საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი. – თბ., 2000. – 63 გვ.; 28 სმ. 400 ეგზ.

ცისანა **სეხნიაშვილი**. **ეკონომიკის ისტორია**: [ეკონ. ფაკ. სტუდ. და პედ.]. – თბ., 2000. – 364 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ.

შოთა **ყიზილაშვილი**. **ეკონომიკური თეორიის საფუძვლები**: [უმაღ. სასწ. სტუდ-თვის]. – თბ.: დედაენა, 2000. – 20 სმ. ნაწ. 2. – 2000. – 56 გვ. ISBN 99928-815-4-2

**შრომის დაცვა და სამთომაშველი საქმე**: ლექციების კონსპექტი / ვ. კაშიბაძე, ვ. ზამთარაძე, გ. ჩიქობავა, თ. კუნჭულია; სტუ. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 1999.– 232 გვ.; 20 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-36-61-x

ი. **ჩხაიძე**. **როგორ გავმდიდრდეთ ანუ ჩვენი გზა ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ**. – თბ., 1999. – 48 გვ.; 20 სმ.

მურმან **ცარციძე**. **სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში**. – თბ.: ცოდნის წყარო, 1999. – 191 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

ედუარდ **ცირამუა**. **სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი**: (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა) – თბ., 1999. – 258 გვ.; 20 სმ, 500 ეგზ.

დავით **ძნელაძე**. **სპეციალობათა შესავალი** / თსუ, მიკროეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკ., წარმოების ეკონომიკისა და მართვის კათედრა. – თბ.: სიახლე, 1999. – 144 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

გიორგი **წერეთელი**. **ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი** / საქ. მეცნ. აკადემია... – თბ.: მეცნიერება, 1999. – 229 გვ.; 20 სმ.

გიორგი **წერეთელი**. **ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები** – თბ.: მეცნიერება, 2000. – 345 გვ.: ნახ.: 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-51-93-7

გივი **მერაბიშვილი**. **შრომის სოციალური და ფსიქოლოგიური ასპექტები**. – თბ., 1999. – 261 გვ.; 20 სმ.

**Pontika-Mediternanea**: [კრებული / რედ. კოლ.: ბონდო კუპატაძე (მთ. რედ.) და სხვ.]; თსუ, გაეროს ასოციაცია – საქ. ქსელი, ახალგ. გაერო-საქ. ქსელი. – თბ., 1999. – 20 სმ. 1. – 1999. – 112 გვ. ISBN 99928-0-018-6

---

### ● ბიზნესი

რევაზ **გველესიანი**. **მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა**. – თბ.: სამშობლო, 1999. – 144გვ.; 20 სმ.

შალვა **გუგეშაშვილი**. **ხარისხის მართვის მეთოდები, ანუ როგორ მივაღწიოთ წარმატებას ბიზნესში**. – 1-ლი გამოც. – თბ.: ხარისხის მართვის უნ-ტი, 2000. – 216 გვ.: ნახ.; 20 სმ.

ჰერბერტ ნიუტონ **კესონი**. **ბიზნესის აქსიომები**: (საქმიანი ბესტსელერი) / [მთარგმნ.: თ. ფიფია]. – თბ.: ბიზნესი, 1999. – 334 გვ.; 20 სმ.

**კვალიფიციური კადრები მცირე და საშუალო ბიზნესს: დასკვნითი ანგარიშები და რეკომენდაციები** / სოციალური კვლევების ინ-ტი. – თბ., 1999. – 65 გვ.; 29 სმ.

რევაზ **კრიჭინაშვილი**. **საერთაშორისო ბიზნესი**: (ლექციების კურსი). – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 63 გვ.; 18 სმ. 300 ეგზ. ISBN 99928-31-76-6

**საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ**: (1999 წლის 1 მაისის მდგომარეობით). – თბ.: პრესა, 1999. – 93 გვ.; 20 სმ.

**საქმიანი საქართველო: საქართველოს კომპანიები**: [ბიზნეს-ცნობარი/ სარედ. კოლ.: ო. შატბერაშვილი და სხვ.]. – თბ.: ტექინფორმი, 2000. – 299, XXX. გვ.; 29 სმ. – (ტექინფორმის ცნობარები.

ლალი **ჩაგელიშვილი**. **საერთაშორისო ბიზნესი**: (ლექციების კურსი). – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2000. – 152 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-77-98-7

როსტომ **ჩხეიძე**. **ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა**: დეტექტიური ცდა. – თბ.: ლომისი, 1999. – 376 გვ.; 15 სმ.

დ. **ძნელაძე**, ლ. ძნელაძე. **ბიზნესი: ორგანიზაცია და მართვა**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 20 სმ. [წ.] 1. – 1999. – 292 გვ. 500 ეგზ. ISBN 99928-31-02-2

## ბიბლიოგრაფია

დ. **ძნელაძე**, ლ. ძნელაძე. **ბიზნესი: ორგანიზაცია და მართვა**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 20 სმ. ნაწ. 2. – 1999. – 338 გვ. 500 ეგზ. ISBN 99928-31-51-0

თენგიზ **ჭიაბრიშვილი**. **გზა პატიოსანი ბიზნესისაკენ**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა: მერიდიანი, 2000. – 302 გვ.; 16 სმ. 300 ეგზ. ISBN 99928-77-00-6

### ● საბანკო საქმე

**„ბანკი ქართუ", სააქციო საზ-ბა. წლიური ანგარიში**. – თბ., [1999]. – 28 სმ. 1998. – 1999. – 34 გვ.

### ● ფინანსები

**გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში** / ფინანსების ს.კ. ინ-ტი; [სარედ. კოლ.: ი. მესხია (მთ. რედ.) და სხვ.]. – თბ., 1999. – 20 სმ. [ტ. 3]. – 1999. – 481 გვ.

ა. **ინგოროყვა**, ს. ნიკლაური. **ფულის მიმოქცევის და კრედიტის საფუძვლები** / სტუ. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 2000. – 187 გვ.: ცხრ.; 24 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-78-08-8 x

დემნა **კვარაცხელია**. **საქართველოში ინფლაციის ტემპის ცვლილებების რეგულირების სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი**. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 63 გვ.; 20 სმ.

ზვიად **როგავა**. **საგადასახადო სამართლის საფუძვლები**: სახელმძღვ. პრაქტ. მუშაკებისა და სტუდ.. – 1-ლი გამოც. – თბ.: ელფი, 2000. – 444 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-0-053-4

გელა **სვირავა** და სხვ. **წარმოება და ფინანსები**: (სამეგრელოს რეგიონი) / გელა სვირავა, ელგუჯა კონჯარია, ნანა ფირცხელავა. – თბ.: ცოდნა; პაპირუსი, 1999. – 275 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 5-89512-128-4

**ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები: ფინანსური და სადაზღვევო მათემატიკა**. ფინანსური ინჟინერია / ნ. ლაზრიევა, მ. მანია, გ. მირზაშვილი და სხვ.; თ. ტორონჯაძის რედ.; ა. რაზმაძის სახ. მათემ. ინ-ტი. – თბ., 1999. – 696 გვ.; 20 სმ.

თამარ **ციგროშვილი**. **საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი**: (ლექციების კურსი). – თბ., 1999. – 303 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-31-81-2

### ● მარკეტინგი

ზიგფრიდ **გრიგოლაშვილი**. **მარკეტინგი**: სახელმძღვ. – თბ.: სოციალ.-ეკონ. ინ-ტი, 1999. – 268 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-0-032-1

**მარკეტინგის აქტუალური საკითხები**: (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული) / თსუ: [სარედ. კოლ.: გ. ნადირაშვილი (მთ. რედ.) და სხვ.]. – მე-3 გამოშვება. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 276 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ.

მაია **სეთური**. **მარკეტინგის მართვა**/ თსუ. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 103 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-31-87-1

### ● სახელმწიფო და სამართალი

**ადგილნაცვალ პირებთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები**: (ცნობარი) / გაეროს ლტოლვილთა უმაღლ. კომისარიატი. – თბ., 1999. – 114 გვ.; 28 სმ.

**ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები**; ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობა / სამოქალაქო საზ-ბა ეთერში. – თბ., 1999. – 157 გვ.; 20 სმ. 2000 ეგზ.

**ანბანურ-საგნობრივი საძიებელი სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში. ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში**. – თბ., 1999. – 48 გვ. 28 სმ. – (გაზეთი „ადვოკატი-მეოხი" / მთ. რედ. თემურ გოგსაძე. სპეც. გამოშვება, 1999 წ.)

**გაერო**: დამხმ. სახელმძღვანელო / [რამაზ აფციაური, ზვიად დევდარიანი, ჯაბა დევდარიანი]. – (1-ლი გამოც.). – თბ.: გაეროს საზ. ინფორმ. დეპარტამენტი, საქ. გაეროს ასოციაცია, 1999. – 122 გვ.; 28 სმ.

ზვიად **გამსახურდია**. **„აირჩიე, ქართველო ერო!"**: ზვიად გამსახურდიას გამონათქვამები: [კრებული]. – თბ.: ძმობა „გრაალის მცველნი", 2000. – 40 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

ჰანს-პეტერ **გასერი**. **ჟურნალისტების დაცვა სახიფათო მივლინების დროს** /ჰანს პეტერ-გასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ჟურნალისტების საქმიანობა / ალენ მოდუ. – თბ.: წითელი ჯვრის საერთაშ. კომ., 2000. – 29 გვ.; 20 სმ.

ნინო **გვენეტაძე**, გოჩა მამულაშვილი. **პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით**. – თბ., 2000. – 454 გვ.; 24 სმ.

პეტრე **დაუთაშვილი**. **კრიმინოლოგია**: სოფლად არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობის დანაშაულის კრიმინოლოგ. დახასიათება და პროფილაქტიკა / საქ. შინაგან საქმ. სამ. აკადემია. – თბ., 1999. – 160 გვ.; 20 სმ.

ცირა **დიდებულიძე**, ლელა კალიჩენკო. **არასრულწლოვანთა უფლებები** / არასამთ. ასოციაცია „დემოკრატი". – ხაშური, 1999. – 46 გვ.; 20 სმ.

**ევროკავშირი და საქართველო**. – [თბ., 1999]. – 12 გვ.; 28 სმ.

**ევროკავშირი და საქართველო: შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, 22 აპრილი, 1996 წელი**. – [თბ., 1999]. – 66 გვ.; 28 სმ.

**ეკლესია, სახელმწიფო და რელიგიური უმცირესობები საქართველოში: გვემუქრება თუ არა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხე?** / მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკას. ინ-ტი. – თბ.: CIPДД, 2000. – 108 გვ.; 20 სმ. – (დისკუსიები კავკას. ინ-ტში, 2 / (სერიის რედ. გია ნოდია). ISBN 99928-37-48-9

ჟან-კლოდ **ეტიენი**. **ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს მისეული ხედვა** / [ფრანგ. თარგმნა მზალო დოხტურიშვილმა]. – (1-ლი გამოც.). – თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2000. – 144 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-52-98-4

**თქვენი უფლებები გამოძიებასა და სასამართლოში**: ბროშურა / ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი, კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი". – თბ., 1999. – 19 გვ.; 20 სმ.

**თქვენი ძირითადი ქონებრივი უფლებები**: ბროშურა / ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი, კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი". – თბ., 1999. – 16 გვ.; 20 სმ.

რუდოლფ ფონ **იერინგი**. **ბრძოლა უფლებისათვის** / გერმ. თარგმნა იაზონ ბაქრაძემ. – თბ.: საქ. საკანონმდებლო მაცნე, 2000. – 120 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-808-3-x

**[ინტელექტუალური საკუთრება]. საკანონმდებლო აქტები: საქართველოს საპატენტო კანონი. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ; საქართველოს კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ; საქართველოს კანონი ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ**. – თბ.: საქპატენტი, 1999. – 92 გვ.; 29 სმ.

გივი **ინწკირველი**. **სახელმწიფოსა და სამართლის თეორია**: (ძირითადი ცნებები და დებულებები). – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 196 გვ.; 20 სმ. 1500 ეგზ. ISBN 5-511-00552-5

**კორუფცია**: **ზოგადი პრობლემები**: ბროშურების სერია ჟურნალისტებისათვის / [შემდგ.: გიორგი სანიკიძე, მარინა მუსხელიშვილი; რედ.: გია ჟორჟოლიანი], საზ. კვლევის ცენტრი. – თბ. 2000. – 51 გვ.; 28 სმ. – (ბროშურების სერია თანამედროვე დემოკრატია: ძირითადი ცნებები და თეორიები, № 5).

ჯამბულ **კოხრეიძე**. **ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები და ორგანიზაცია**: საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 42 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

მზია **ლეკვეიშვილი**, გოჩა მამულაშვილი. **პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის**: (კომენტარი). – თბ.: მერიდიანი, 1999. – 172 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-22-30-9

ვიქტორ **ლორთქიფანიძე**. **ქვეყნის ფედერაციული მოწყობა**: ინფორმაცია განსჯისათვის / საქ. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. – თბ., 1999. – 178 გვ.; 20 სმ.

ოთარ **მელქაძე**, ნუცა რამიშვილი. **გერმანიის კონსტიტუციური სამართალი** / მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევ. ცენტრი. – თბ.: მერანი, 1999. – 192 გვ.; 20 სმ. – (პოლიტ. – სახ. ლიტ. სერია, წ. IX). ISBN 99928-16-30-9

რომან **მიგრიაული**. **შესავალი გაკოტრების სამართალში**: (დამხმ. სახელმძღვ.). – 1-ლი გამოც. – თბ.: უფლება, 1999. – 214 გვ.; 20 სმ.

გივი **მიქანაძე**. **ევროპის ომბუდსმენები**. – თბ.: 1999. – 350 გვ.; 20 სმ.

**მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა** / საქ. იუსტიციის საბჭო; (პ/მგ. რედ. ნათია შიოშვილი). – თბ.: მერიდიანი, 2000. – 75 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-22-10-29

აკაკი **ნარგიზიშვილი**. **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**: დამხმ. სახელმძღვ. მე-11 კლ.. – თბ.: ლამპარი. 2000. – 154 გვ.; 21 სმ. ISBN 99928-25-13-8

ეთერ **ოკუჯავა**. **კულტურა – გზა გადარჩენისა**. – თბ., 2000. – 262 გვ.: ფოტო.; 24 სმ.

ნათელა **ონაშვილი**. **ქმნა მართლისა სიმართლისა...**: [პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე]. – თბ., 1999. – 218 გვ: ილ.: 20 სმ.

**პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები**: სახელმძღვ. – თბ.: ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2000. – 204 გვ.; 25 სმ.

ჟან **პრადელი**. **შედარებითი სისხლის სამართალი: მოკლე კურსი** / თარგმნა ეკატერინე სუმბათაშვილმა. – თბ.: Sani, 1999 – 534 გვ.; 28 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-800-0-7

გიორგი **ჟორჟოლიანი**. **ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობათა უფლებების დაცვა**. – თბ.: ეპოქა, 1999. – 170 გვ.; 20 სმ.

**როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები**/ [... გ. ნიკოლაიშვილი, ზ. მიხანაშვილი და სხვ.]. – თბ.: დიოგენე, [1999]. – 64 გვ.; 20 სმ.

ნიკოლოზ **რურუა**. **კანონი – გააზრებული გამბედაობა** / ქართული პენ ცენტრი. – თბ.: აზრი, 2000. – 31 გვ.; 19 სმ. ISBN 99928-70-21-4

ზაზა **რუხაძე**. **საქართველოს კონსტიტუციური სამართალი**: (სახელმძღვ. იურიდ. ფაკ. სტუდ-თვის). – ბათუმი, 1999. – 390 გვ.; 24 სმ.

**საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები** / კახაბერ შევარდნაძე, რობიზონ ჩეჩელაშვილი, ვეფხია ჩოჩელი, ნოდარ ხადური.: – თბ.: „კომპანია იმპერიალი", 2000. – 76 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-0-046-1

**საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობა და პრაქტიკა**: სამართლ. ოლიმპიადის „ადამიანი და კონსტიტუცია" სახელმძღვ. მასალა / საქ. ახალგ. იურისტთა ასოციაცია; [სარედ. კოლ.: ირინა მილორავა და სხვ.]. –

## ახალი წიგნები

*ქართული მხატვრული ლიტერატურა*

# ელენე დარიანი. ლექსები.



**ელენე დარიანი. [პაოლო იაშვილი]. ლექსები. / შემდგ. ზეინაბ ლომჯარია; რედ. თამაზ კვაჭანტირაძე. – თბ.: შპს „ფავორიტი", 2000. – 105 გვ.: ილ.; 20 სმ.**

1915-1924 წლებში ქართულ პრესაში იბეჭდებოდა ელენე დარიანის ლექსები. ამ ფსევდონიმს რომ „ცისფერყანწელთა" ორდენის ლიდერი – პაოლო იაშვილი ეფარებოდა, იმთავითვე იყო ცნობილი და მის თანამედროვეთა მიერ აღნიშნული (გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა აფხაიძე, ვლადიმერ ჯაფარიძე და სხვ.).

პაოლო იაშვილს თავის სიცოცხლეში ლექსების კრებული არ გამოუცია. ამის მიზეზად შემდეგ გარემოებას ასახელებენ: პოეტი ხშირად სტამბაში წერდა ლექსებს და გაზეთსაც თავად აწყობდა, რის გამოც ხელნაწერებს არ ინახავდა, თუმცა ოჯახს მაინც შემორჩა ბლოკნოტი, სადაც პოეტის ხელით ჩაწერილია დარიანული ლექსები.

პაოლოს ლექსების პირველი კრებული მისი რეაბილიტაციიდან ერთი წლის შემდეგ, 1955 წელს გამოვიდა, ხოლო შედარებით სრული გამოცემა – 1975 წელს; ლიტერატორმა შალვა დემეტრაძემ ხანგრძლივად, რუდუნებითა და სიყვარულით ეძება და აღნუსხა თავისი ახალგაზრდობისდროინდელი მეგობრის თითოეული ბწკარი.

წელს, ნოემბრის ბოლო რიცხვებში, გამომცემლობა „ფავორიტმა" დასტამბა ელენე დარიანის ლექსები, რომელსაც ახლავს ზეინაბ ლომჯარიას გამოკვლევა.

წიგნი მშვენივრად არის გაფორმებული, მასში დაბეჭდილია იშვიათი ფოტომასალა, აქვე მკითხველი იხილავს პაოლო იაშვილის მიერ შესრულებულ ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის მეგობრულ შარჟებს. ლექსების კრებულის გარეკანზე გამოყენებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი ფერმწერ-გრაფიკოსის, ოსკარ შმერლინგის კარიკატურები.

მსურველებს წიგნის შეძენა შეუძლიათ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ეკა გაბაშვილი

# შალვა კარმელი – 100




**შალვა კარმელი (გოგიაშვილი). ბაბილონი. – თბ.: შპს გამომცემლობა „დედაენა", 2000. – 144 გვ.: პორტრ.; 20 სმ. ISBN 99928-821-3-1**

„1915 წლის შემოდგომაზე ჩემთან მოვიდა ბავშვი, რომელმაც დამიტოვა რვეული ლექსების და თითქმის ვერაფერი მითხრა. ის იყო როგორც ნიბლია. გადავიკითხე ლექსები და იმლამესვე წავედი ვალერიან გაფრინდაშვილთან. ბავშვურ შთაგონებაში ჩვენ დავინახეთ მომავალი ძმა ჩვენ ორდენში, – შალვა კარმელი," – წერდა გაზეთში „რუბიკონი" (№ 3) 1923 წელს „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული დაჯგუფების მეთაური, პაოლო იაშვილი.

ვინ იყო შალვა კარმელი?

შალვა პავლეს ძე გოგიაშვილი დაიბადა 1899 წელს ქუთაისში, იქვე დაამთავრა გიმნაზია და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე გააგრძელა. პირველი ლექსი „რიონი" 1915 წელს გამოაქვეყნა; სიცოცხლეშივე, 1921 წელს, გამოსცა ლექსების წიგნიც, სახელწოდებით „ბაბილონი".

„იანვრის 25-ს, ღამის 1 საათზე ქალაქ ქუთაისში გარდაიცვალა პოეტი შალვა კარმელი", – იუწყებოდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი" (1923 წ.; № 8, გვ. 17).

„შალვას სიკვდილმა სრულებით არია ჩვენი დღეები: ასეთი მწუხარება ჯერ არ გვახსოვს მეგობრის დაკარგვით. ოთხშაბათს დილით ჩამოვალთ მე, პავლე ინგოროყვა, ტიციანი, ვალერიანი და რაჟდენ გვეტაძე..." – თბილისიდან ქუთაისს, კოლაუ ნადირაძეს უთვლიდა პაოლო (იხ. „ლიტერატურის მატიანე", გამ.: „დიოგენე", თბ.; 1998 წ.; გვ. 128).

24 წლის „ცისფერყანწელთა" უმრწემესი ძმა – შალვა კარმელი – მეგობრების მცდელობით ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს (იხ. ჟურნალი „კოლხეთი", 1923 წ., № 1).

პოეტის ძმისშვილმა, ნუგზარ გოგიაშვილმა გამოსაცემად მოამზადა ასი წლის, მაგრამ მარად ახალგაზრდა შალვა კარმელის ლექსების წიგნი „ბაბილონი", რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანადგომითა და პრეზიდენტის ფონდის შემწეობით, ერთი თვის წინ დაიბეჭდა.

ამ წიგნით ქართველი მკითხველი კიდევ ერთხელ გაიხსენებს ცისფერყანწელთა ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელს. წიგნი იყიდება მაღაზია „მერანში".

ზ. ლ.

# ● ახალი წიგნები

*საზღვარგარეთის ლიტერატურა*

## ლათინური ამერიკის ლიტერატურული პალიტრა




**ჟაკ ჟოზე.** ესპანურ-ამერიკული ლიტერატურა / [მთარგმნ.: თამარ ნებიერიძე]. –[1-ლი ქართ-გამოც.]. – თბ.: SKF, 2000. – 164 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-34-20-x

წიგნში განხილულია ლათინური ამერიკის ლიტერატურის განვითარების საკითხები. თითოეული ლიტერატურული ჟანრი საინტერესოდ იცვლება ისტორიასთან მიმართებაში. ქრონიკებსა და თავდაპირველ თხრობაში, ერთმანეთს ცვლის კოლონიზაციის ეპოქის პოეზია, შემდეგ დამოუკიდებლობის ასევე მოდერნისტული პოეზია, გალიონის დაბრუნება (1880-1920), ლიტერატურული ასპარეზის ხელახალი დაპყრობა, თანამედროვე რომანები და სხვა.

წიგნი ნათელყოფს იმ ფაქტს, რომ ესპანური ამერიკის ლიტერატურაში მთავარია პრაგმატიზმი, დიდაქტიკა და ცხოვრებისეული დროის ჩართვა. ყოველივე ეს დასაბამს აძლევს ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და იგი გვეხმარება, გავხდეთ მოწმე ესპანური ამერიკის ჭეშმარიტი ლიტერატურისა.

*ფოლკლორი*




**ყუმუხური ფოლკლორი** / [შემდგ. ლია ჩლაიძე; რედ. ნ. გელაშვილი] – თბ.: კავკასიური სახლი, 1999. – 136 გვ. ილ.; 19 სმ. – **(კავკასიის ხალხთა ფოლკლორი). ISBN 99928-71-01-6**

ყუმუხები დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის დაბლობის აბორიგენები არიან. მათ ეთნოგენეზში მონაწილეობა მიუღიათ მოგვიანებით მოსულ თურქულენოვან ტომებს, რომლებიც ყივჩაყების საერთო სახელით არიან ცნობილნი, რაც მათ კულტურაშიც გამოვლინდა.

ყუმუხური მწერლობა ახალია, ამიტომ მათთვის ზეპირსიტყვიერება დიდხანს რჩებოდა ხალხის თვითგამოხატვის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად.

კრებულში წარმოდგენილია სატრფიალო ლექსები, ხმით ნატირლები, საწესჩვეულებო პოეზია, ბალადები, ისტორიული ლექსები. ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრები, ლეგენდები და სხვ.

*საბავშვო ლიტერატურა*

## ზღაპრად გადმოცემული ვეფხისტყაოსანი




**ირაკლი კახაძე.** შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" ზღაპრად გარდათქმული და დასურათებული ირაკლი კახაძის მიერ. – თბ.: ჯი ეი თი, 2000. – 49 გვ.: ილ.; 29 სმ.

თქვენს წინაშეა გამოცემა ზღაპრისა, რომელიც შოთა რუსთაველის უკვდავი ვეფხისტყაოსნის მიხედვით შეუსრულებია მოსწავლე ირაკლი კახაძეს. მან ზღაპრად მოგვითხრო და ლამაზი ფერებით დაგვიხატა ნაწარმოების პერსონაჟთა გმირობა, მამაცობა, გამბედაობა და შეუპოვრობა. მის მიერ გადმოცემული ვეფხისტყაოსნის შინაარსი აზრისა და სტილის გამართულობით მკითხველის დიდ ინტერესს იწვევს.

ზღაპარს ახლავს თან ირაკლი კავსაძის მიერ შესრულებული ორიგინალური ფერადი ნახატები. გია ბუღაძე: „ირაკლის ნახატები და ილუსტრაციები, თავისი ექსპრესიით და მხატვრული ტემპერამენტით, თავისუფალი, უშუალო ინტერპრეტაციის პათოსით უდაოდ უნიკალური მოვლენაა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრირების ისტორიაში".

სასიამოვნო და მოსაწონია, რომ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობა დიდ ინტერესს იჩენს ამ გენიალური ნაწარმოების მიმართ.

წიგნი განკუთვნილია მოზარდებისთვის.

# ბიბლიოგრაფია ●

თბ., 1999. – 320 გვ.; 20 სმ. 300 ეგზ.

**საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი**: ცვლილებებითა და დამატებებით 1999 წლის იანვრის მდგომარეობით (სრული ვარიანტი). – თბ., 1999. – 59 გვ.; 26 სმ. – (გაზეთი ადვოკატი-მეოხი/ მთ. რედ. თემურ გოგსაძე).

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი** / (პმგ გამოც. ჯონი ხეცურიანი). – თბ., 2000. – 116 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBM 99928-808-1-3

**საქართველოს კანონებისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული ინვალიდ-მეომრებისა და დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის** / ინვალიდ-მეომართა და ვეტერანთა კავშირი „დემეტრე თავდადებული". – თბ.: ინტელექტი, 1999. – 191 გვ.; 20 სმ.

**საქართველოს კონსტიტუცია**: მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს (1999 წლის 20 ივლისის ცვლილებითა და დამატებით) / [პმგ გამოც. ... ჯონი ხეცურიანი]. – თბ.: 1999. – 74 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-808-0-5

**საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მიწის შესახებ** (1999 წლის 1 მარტის მდგომარეობით). – თბ.: საქართველოს მაცნე, 1999. – 239 გვ.; ცხრ.; 20 სმ. 500 ეგზ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 2000 წლის თებერვალი. თბ., 2000. – 20 სმ. [კრ.] № 3. – 2000. – 129 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995 – ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 2000 წლის თებერვალი. თბ., 2000. – 20 სმ. [კრ. № 4]. – 142 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 2000 წლის მარტი. – თბ., 2000. – 20 სმ. [კრ. № 5]. – 149 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 2000 წლის მარტი. – თბ., 2000. – 20 სმ. [კრ. № 6]. – 175 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 2000 წლის აპრილი. თბ., 2000. – 20 სმ. [კრ. № 7]. – 218 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 1999 წლის ივლისი. – თბ., 1999. – 20 სმ. [კრ. № 13]. – 148 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 1999 წლის ივლისი. თბ., 1999. – 20 სმ. [კრ.] № 14. – 1999. – 168 გვ.

**საქართველოს პრეზიდენტი** (1995- ; ე. შევარდნაძე). ბრძანებულებები და განკარგულებები, 1999 წლის აგვისტო. – თბ., 1999. – 20 სმ. [კრ. № 15]. – 115 გვ.

**საქართველოს სამოქალაქო კოდექსი**. – თბ., 1999. – 115 გვ.; 29 სმ. – (გაზეთი „ადვოკატი-მეოხი". სპეც. გამოშვება.

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი**; სამოქალაქო კოდექსში უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი / ავტ.-შემდგ. ვლადიმერ გოცირიძე). – (მე-2 შევს. გამოც.). – თბ., 1999. – 83 გვ.; 28 სმ. (გაზეთი „ადვოკატი-მეოხი" სპეც. გამოშვება, 1999 წელი /გაზეთის მთ. რედ. თემურ გოგსაძე).

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი**: მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს (ცვლილებებით 1999 წლის 1 ოქტომბრამდე) / [პმგ გამოც. ... ჯონი ხეცურიანი]. – თბ., 1999. – 294 გვ. 20 სმ. 1000 ეგზ.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი**. – თბ., 1999-2000. – 68 გვ.; 28 სმ. (გაზეთი „ადვოკატი-მეოხი" / მთ. რედ. თემურ გოგსაძე. სპეც. გამოშვება – 1999-2000 წ.).

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.** – თბ., 1999. – 80 გვ.; 29 სმ – (გაზეთი „ადვოკატი-მეოხი". სპეც. გამოშვება – 1999 წელი / გაზეთის მთ. რედ. თემურ გოგსაძე).

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**: სრული ვარიანტი. – თბ., 2000-107 გვ.; 29 სმ. – (გაზეთი ადვოკატი-მეოხი" / (მთ. რედ. თემურ გოგსაძე).

ივანე **სურგულაძე**. **ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები**. – თბ., 2000. – 20 სმ. (წ. 1) – 2000. – 261 გვ.

პაატა **შავაძე**. **ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრობლემები**: (სპეც. – კურსი) / ბსი, სამართლის თეორიის, კონსტიტ. სამართლისა და ისტორიის კათედრა. – ბათუმი: იურიდ. ლიტ., 1999. – 67 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ. ISBN 99928-49-02-9

ედუარდ **შევარდნაძე**. **ჩემს უძვირფასეს „საგანს" საქართველო ჰქვია**. – თბ.: საქართველო, 2000. – 191 გვ.; 20 სმ. 4000 ეგზ.

ალექსანდრე **შუშანაშვილი**. **მხოლოდ კანონიერება და სამართლიანობა**. – თბ.: ორიონი, 1999. – 318 გვ.: პორტრ.; 19 სმ.

ალექსანდრე **შუშანაშვილი**. **საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები**: სახელმძღვ. ზოგადსაგანმ. სკოლის მე-9 კლასისათვის. – მე-2 გამოც. – თბ.: ორიონი, 1999. – 180 გვ.; 20 სმ.

მარიამ **ცაცანაშვილი**. **ინფორმაციული საზოგადოება და ინფორმაციის სამართლებრივი რეგულირება**. – თბ.: ტექინფორმი, 1999. – 238 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

ზურაბ **ძლიერიშვილი**. **უდავო წარმოება**: (საქ. ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით). – თბ.: მერიდიანი, 2000. – 72 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-22-18-7

**წვევამდელთა უფლებების დაცვა**. – თბ.: ასოციაცია სამართალი და თავისუფლება". [1999]. – 68 გვ.; 20 სმ.

ზაურ **წულაია**. **სისხლის სამართალი**: კერძო ნაწილი (საქ. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით). – თბ.: ინტელექტი, 2000. – 20 სმ. ტ. 1 ნაწ.1. – 2000. – 368 გვ. ISBN 99928-67-28-4

ვახტანგ **ჭიჭინაძე**. **სახელწიფო და მართვა**. – თბ.: მოდესტა, 1999. – 284 გვ.; 20 სმ.

გიორგი **ხუბუა**. **ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი**: [იურიდ. ფაკ. სტუდ-თვის.]. – თბ., 2000. – 524 გვ.; 24 სმ. ISBN 12020-04

**ჯარისკაცთა უფლებების დაცვა**. – თბ., 1999. – 68 გვ. სურ. ცხრ.; 20 სმ. – (ასოციაცია სამართალი და თავისუფლება).

სანდრო **ჯორბენაძე**. **ფრენშაიზინგის ხელშეკრულება**. – თბ., 1999. – 50 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ. ISBN 99928-0-017-8

### ● სამხედრო საქმე

**„იაშთხვა"**, 1993 20 ივლისი, 27 სექტემბერი / აფხაზეთის მეცნ. აკადემია; [შემდგ. და რედ. ჯემალ ჯინჯიხაძე]. – თბ.: ინტელექტი, 1999. – 55 გვ.: ილ.; 20 სმ. ISBN 99928-67-52-3

ელვერ **კუპატაძე**. **ვლადიმერ ნანეიშვილი**: [საბჭოთა კავშირის გმირი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი]. – თბ., 1999. – 141 გვ.; 20 სმ.

**OAIHP-ის სახელმძღვანელო არჩევნებზე დაკვირვებისათვის** / OSCE ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრ. ორგანიზაცია. დემოკრ.: ინ-ტების და ადამიანთა უფლებების ოფისი (OAIHP): არარჩევ. თარგმანი. – 1-ლი ქართ. გამოც. – თბ., 1999. – 49 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-52-28-7

### ● სოციალური უზრუნველყოფა

ლევან **კალანდაძე** და სხვ. **სადაზღვევო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი** / ლ. კალანდაძე, ა. ცერცვაძე, ლ. დავითაშვილი. – (1-ლი გამოც.). – თბ.: GIA, [1999]. – 111 გვ. (6 ჩართ. ფ.); 20 სმ. ISBN 99928-60-01-04

**საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სადაზღვევო სისტემის მიმართ**: (სოციოლოგ. გამოკვლევა თბილისის მაგალითზე) / საქ. მეცნ. აკად. დემოგრ. და სოციოლ. კვლევის ინ-ტი... – თბ., 1999. – 36 გვ.; 20 სმ.

არჩილ **ცერცვაძე** და სხვ. **არასიცოცხლის დაზღვევის სახელმწიფოებრივი რეგულირება**: სავალდებულო დაზღვევის ფონდი: [თარგმანი]. არჩილ ცერცვაძე, ლევან კალანდაძე, ლევან დავითაშვილი. – თბ., 1999. – 262 გვ.; 20 სმ. 2500 ეგზ.

არჩილ **ცერცვაძე** და სხვ. **საქართველოს სადაზღვევო ბაზარი და სახელმწიფოებრივი რეგულირება** / არჩილ ცერცვაძე, ლევან კალანდაძე, ლევან დავითაშვილი. – საქ. დაზღვევის სახ. ზედამხედვ. სამსახური. – მე-2 გამოც. – თბ., 1999. – 26 გვ.: ცხრ.; 26 სმ.

კახაბერ **ჯაყელი**. **დაზღვევის ეკონომიკის საფუძვლები** / კახაბერ ჯაყელი. დაზღვევის ეკონომიკა მომავალი ათასწლეულის გზაზე / ი. – მათიას გრაფი ფონ დერ შულენბურგი, უზან ველინგი. – [თბ., 1999]. – 112 გვ.; 20 სმ. 300 ეგზ. ISBN 99928-51-44-9

### ● განათლება

გიორგი **ალავერდაშვილი**. **დგას კათედრაზე, სიბრძნეს ქადაგებს**: [პროფესორი ტიტე სარიშვილი]. – თბ., 1997. – 115 გვ.; 20 სმ.

გიორგი **ალავერდაშვილი**. **კვალი ნათელი**: (ეძღვნება მიხეილ მანდარიას). – თბ., 2000. – 40 გვ.; 20 სმ.

კოტე **ანთაძე**, ნაირა მამუკელაშვილი-სიმონიშვილი. **ცოდნის კონა**: I კლასის სასკ. სახელმძღვ. შრომით სწავლებაში. – თბ.: კონა, 1999. – 56 გვ.: ილ.; 20 სმ.

ვლადიმერ **გაგუა**, ლია მენთეშაშვილი. **საკურსო სამუშაოები პედაგოგიკაში**: მეთოდ. მითითებანი /თბილ. სახ. პედ. უნ-ტი. – თბ.: ცის ნამი, 2000. – 94 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-63-17-x

ვახტანგ **ერქომაიშვილი**. **საზოგადოებათმცოდნეობა**: მე-10-11 კლ. სახელმძღვ.. – მე-3 გამოც. თბ.: განათლება, 1999. – 223 გვ.; 20 სმ. 2000 ეგზ. ISBN 99928-24-89-1

**თბილისის კულტურის სახ. ინ-ტი. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია (1999). მასალები.** – თბ.: მეცნიერება, 1999. – 84 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-51-09-0

**თბილისის კულტურის სახ. ინ-ტი. სტუდენტთა სამეცნ. კონფერენცია (7; 2000). სტუდენტთა მე-7 სამეცნიერო კონფერენცია:** მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 2000. – 46 გვ.; 20 სმ.

**თბილისის პედ. უნ-ტი. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნ. სესია (63; 1999). პროფესორ მასწავლებელთა სამეცნიერო სესია: (მასალები), 63; 27-28 აპრილი.** – თბ.: პედ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 155 გვ.; 20 სმ.

**თბილისის უნ-ტი. ბიოლოგიისა და მედიცინის ფაკ-ტი. სტუდენტთა სამეც. კონფერენცია (59; 1999). სტუდენტთა 59-ე სამეცნიერო კონფერენცია:** მოხსენებათა თეზისები, 14-16 აპრილი. – თბ., 1999. – 40 გვ.; 28 სმ.

**თბილისის უნ-ტი. სიღნაღის**

## ● ბიბლიოგრაფია

(კახეთის მხარის) ფილიალი. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეც. სესია (20 1999; სიღნაღი). პროფესორ-მასწავლებლთა და სტუდენტთა II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი თსუ სიღნაღის ფილიალის დაარსების 4 წლისთავისადმი, 1999 წლის 9-10 ივნისი, ქ. სიღნაღი: მოხსენებათა მასალები. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 196 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ.

**თბილისის უნ-ტი. სტუდენტთა სამეც. კონფერენცია (58; 1999). სტუდენტთა 58-ე სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი**: გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომთა თეზისები. –თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 151 გვ.; 20 სმ. 300 ეგზ.

**თბილისის უნ-ტი. სტუდენტთა სამეცნ. კონფერენცია (60; 2000). სტუდენტთა მე-60 სამეცნიერო კონფერენცია, 12-16 აპრილი 2000 წელი: კონფერენციის სამუშაო პროგრამა.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2000. – 271 გვ.; 20 სმ. 300 ეგზ.

**თბილისის უნ-ტი. ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების სამეც. სესია. (2; 1999; თბილისი; სიღნაღი).** ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების II სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ კაკაბაძის დაბადების 120-ე წლისთავისადმი 1999 წლის 15-17 აპრილი, თბილისი-სიღნაღი: მუშაობის გეგმა და მასალები. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 224 გვ.; 20 სმ.

ოთარ **კიკნაძე. საუბრები აღზრდის შესახებ.** – თბ.: განათლება, 1999. – 168 გვ.: ცხრ. 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-24-81-6

რევაზ **კილაძე. სასოფლო-სამეურნეო შრომა**: სოფლის სკ. მე-5 კლ. სახელმძღვ. – თბ.: მოლოდინი, 1999. – 175 გვ.; სურ.; 20 სმ.

რევაზ **კილაძე. სასოფლო-სამეურნეო შრომა**: სოფლის სკ. მე-6 კლ. სახელმძღვ. – თბ.: მოლოდინი, 1999. – 128 გვ.: სურ.; 20 სმ. 2000 ეგზ.

რევაზ **კილაძე. სასოფლო-სამეურნეო შრომა**: სოფლის სკ. მე-7 კლ. სახელმძღვ. – თბ.: მოლოდინი, 1999. – 108 გვ.: სურ.; 20 სმ. 2000 ეგზ.

რევაზ **კილაძე. შრომითი სწავლების მეთოდიკა** / ი.გოგებაშვილის სახ. პედ. მეცნ. ეროვნ. ინ-ტი. – თბ.: მოლოდინი, 1999. – 304 გვ.; 20 სმ.

თეიმურაზ **კოპალეიშვილი. მომავლის იმედით.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 251 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-31-80-4

თემურ **ქლიბტი**, ზურაბ ცუცქირიძე. **ლექციების კურსი პედაგოგიკაში** / საქ. ჰუმანიტ. მეცნ. აკადემია, გაერთ. სამხ. აკად. პედ. და ფსიქოლოგიის კათედრა. – თბ.: მერანი-3, 1999. – 20 სმ. ნაწ. 2: (განათლებისა და სწავლების თეორია). – 1999. – 344 გვ. ISBN 99928-34-72-2

**სადიპლომო პროექტის გაფორმების წესი**: მეთოდ. მითითებები / სტუ; [შემდგ.: ლ. რონიშვილი]. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 1999. – 44 გვ.; 20 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-36-08-3

**სასწავლო მუშაობის სახელმძღვანელო მასალები და მეთოდური მითითებები** / თსუ სასწ. – მეთოდ. სამმართველო; [შემდგ.: ნუგზარ სხირტლაძე]; რედ. თეიმურაზ ხუროძე]. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 20 სმ. 6. – 1999. – 41 გვ.

**საქართველოს პროფესორ-მასწავლებელთა რესპ. სამეცნ. კონფერენცია (2000; თბილისი). პროფესორ-მასწავლებელთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.** – თბ.: იურიდ. აზრი, 2000. – 56 გვ.; 19 სმ. ISBN 99928-814-0-2

**საქართველოს რესპ. სამეც. კონფერენცია (5; 1999; ახალციხე). V რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 95 გვ.; 20 სმ. 200 ეგზ.

**სოხუმის უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგ. მეცნიერთა და ასპირანტთა სამეც. კონფერენცია (1999; თბილისი).** მასალები, 14-15 მაისი: მოხსენებათა კრებული. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა: ინტელექტი, 1999. – 168 გვ; 20 სმ. 150 ეგზ.

აკაკი **ტალიაშვილი. პედაგოგიური ნარკვევები** / ცხინვალის პედ. ინ-ტი. – თბ., 1999. – 80 გვ.; 19 სმ.

**ცნობარი და მისაღები გამოცდების პროგრამები: თბილისის სახ. უნ-ტში შემსვლელთათვის 2000 წელს** / თსუ; [შემდგ.: ნანა ბუაძე; რედ. ნუგზარ სხირტლაძე]. – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 2000. – 176 გვ.; 20 სმ. 1000 ეგზ.

ომარ **ცხადაძე. ფიზიკური აღზრდის პედაგოგიური საკითხები სკოლასა და ლიცეუმში** / ქუთაისის მრავალპროფ. დამოუკ. ინ-ტის პედაგოგთა ფსიქოლოგიის კათედრა. – ქუთაისი, 2000. – 125 გვ.; 20 სმ. 2000 ეგზ.

**წესები ზოგადსაგანმანათლო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის, გამოცდებისა და მე-10 კლასში მიღების შესახებ.** / საქ. განათლ. სამ. – თბ., 1999. – 15 გვ.; 19. სმ. 5000 ეგზ.

მანანა **ჩილოსანი. ბავშვის ზნეობრივი აღზრდის ოპტიმიზაცია ბავშვთა სახლში.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, სტ. № 17, 1999. – 20 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

მანანა **ჩილოსანი. ოჯახური გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, სტ № 17, 1999. – 15 გვ.; 20 სმ.

მანანა **ჩილოსანი. პედაგოგიურად ორგანიზებული გარემოს როლი ბავშვის განვითარებაში.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, სტ № 17, 1999. – 26 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

### ● ეტიკეტი

ჰამლეტ **ჟიჟიაშვილი. ეტიკეტი და დიპლომატიური სამსახური.** – თბ.: მერანი-3, 2000. – 368 გვ.; 19 სმ. ISBN 99928-34-91-9

გურამ **ჟორია. დიპლომატიური და საქმიანი ეტიკეტი**: უცხოელებთან ურთიერთობის ზოგადი წესები. [სახელმძღვ. უმაღ. სასწ. სტუდ-თვის]. –თბ.: ლეგია, 1999. – 352 გვ.: ნახ.; ცხრ.; 20 სმ.

### ● ფიზიკური კულტურა და სპორტი

**არეული კრივი** / ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევ. ცენტრი, „ჯგირაგი" და ფედერაცია „ხრიდოლი". – თბ., 1999. – 20 სმ. წ. 2. კარი 1. – 1999. – 46 გვ.

ცელა **ბანძელაძე. ევროპული ფეხბურთის ტრიუმფი**: (1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატი). – თბ.: რაინდთა სააკეთო სკოლა, 1999. – 103 გვ.: სურ.; 20 სმ.

გაბრიელ **ბარჯაძე. ლელოს შვილები**: [ქართველი რაგბისტები]. – თბ., 1999. – 143 გვ.: ილ.; 20 სმ.

გაბრიელ **ბარჯაძე. ქართული, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი, სამბო, ძიუდო, სუმო**: ჭიდაობის ცნობარი. – თბ., 2000. – 157 გვ.: ილ.; 20 სმ.

მარინე **ბერიძე. მთას ვიყავ, მნევრვალზე ვიდექ**: „კავკასია-99" ექსპედიცია. – თბ., 1999 – 81 გვ.: ილ.; 25 სმ.

თენგიზ **გაჩეჩილაძე. 10 დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში, 1989-1999.** – თბ., 1999 – 169 გვ.: ილ.; 20 სმ.; 600 ეგზ.

ანზორ **დევეტარაძე. ქუთაისელი სპორტსმენები საერთაშორისო ასპარეზზე.** – [ქუთაისი, 1999]. – 82 გვ.: ილ.; 20 სმ.

გოჩა **დევალი. ანტიდეპრესანტი: ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ძველი უბის წიგნაკიდან**: კროსვორდები, თავსატეხები. – თბ., 2000. – 48 გვ.; 20 სმ.

**თბილისის „დინამო" ციფრებში, 1936-1989** / ავტ. – შემდგ.: ზურაბ თედორაძე. – თბ., შპს „სტამბა-96", – 33 გვ.; ცხრ. ილ.; 28 სმ. ISBN 99928-0-025-9:

გოგი **თოფაძე**, ჯუმბერ ხანთაძე. **თხილამურებით მთაში.** – თბ.: დიოგენე, 1999. – 271 გვ. ილ.; 20 სმ.

**ნოდარ ახალკაცი**: თითქმის ყველაფერი ფეხბურთის მაესტროზე და უფრო მეტზე / შემდგ.: დემიკო ლოლაძე. – მე-2 შევს. გამოც. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 1999. – 404 გვ.: ილ.; 20 სმ. ISBN 99928-36-75-x: 600 ეგზ.

ზურაბ **ცხონდია. ოდიშური ნახტომი**: [ზუგდიდის სპორტული ტრადიციები]. – ზუგდიდი: ივერი, 2000. – 78 გვ.; 20 სმ.

**1949-1999 წლები: გზა რიგითი სპორტსმენიდან ქართული სპორტის ხელმძღვანელამდე**: ქართული სპორტის სამსახურში გატარებული 50 წელი: ეძღვნება საქ. სპორტ. კომიტეტის დავით პერტენავას მოღვაწეობის ორმოცდაათ წლისთავს. – [თბ., 1999]. – 29 გვ.: ილ.; 20 სმ.

### ● ეთნოგრაფია

ნანული **აზიკური. მატყლის ლებვის ტრადიცია თუშეთში.** – თბ.: კუნა გეორგიკა, 1999. – 64 გვ.: ნახ.; 20 სმ.

თინა **ივելაშვილი. საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში.** – თბ.. 1999. – 357 გვ.; 20 სმ. 500 ეგზ.

ხათუნა **იოსელიანი. საქორწილო სუფრასთან გამასპინძლების წესი სვანეთში** (თამადის ინსტიტუტი და სადღეგრძელოები) / საქ. მეცნ. აკად., ისტორიისა და ეთნოგრ. ინ-ტი. – თბ.: მეცნიერება, 1999. – 26გვ.: 20 სმ. 100 ეგზ. ISBN 99928-51-295

ლუარა **ნიჟარაძე. ქვემო ქართლის სვანების სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა.** – თბ.: სახ. უნ-ტის გამ-ბა, 1999. – 30 გვ.; 20 სმ.

გიორგი **ჩინჩალაძე. ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულების ინტერპრეტაციისათვის** [თსუ, ეთნოლოგიის კათედრა და სხვ.]. – თბ.: იბერთედ-პრესი, 2000. – 84 გვ.; 20 სმ. ISBN 99928-817-04

ბესარიონ **ჩიხრაძე. რაჭა და რაჭველები.** – თბ.: ოაზისი, 1999. – 191 გვ.: ილ.; 20 სმ. 200 ეგზ. ISBN 99928-807-0-8

ნანა **ხაზარაძე**, თამილა ცაგარეიშვილი. **წმინდა ხის კულტი საქართველოში**: [მითოლოგიური პარალელები]. – თბ.: ინტელექტი, 1999. – 52 გვ.: ილ.; 20 სმ. ISBN 99928-67-86-8

თ. **ხოხობაშვილი**, მ. ძნელაძე. **სამარხთა სახეობანი და დაკრძალვის წეს-ჩვეულებანი ძველ საქართველოში**: კევრიანი სამარხები / სტუ. – თბ.: ტექნ. უნ-ტი, 1999. – 29 გვ.; 20 სმ.

**ძვირფასო მკითხველო! გაზეთ „ქართული წიგნის" პირველ ნომერში ვერ მოთავსდა ჩვენს მიერ მომზადებული 1999-2000 წლებში გამოცემული ქართული ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფია, რომლის დასასრულსაც შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.**

**ამ ნომერში წარმოდგენილი ბიბლიოგრაფია არ მოიცავს: ლიტერატურას საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, ბიოლოგია, სამედიცინო ლიტერატურა და სხვა), ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურის ისტორიისა და კრიტიკის შესახებ – მას შემდეგ ნომერში მოგაწვდით.**

**რედაქცია მზად არის, მიიღოს თქვენგან შენიშვნები და წინადადებები.**

## რეიტინგი ●

# XX საუკუნის წიგნი

გაზეთი „ქართული წიგნი" ატარებს გამოკითხვას უკვე ისტორიის საკუთრებაში გადასული XX საუკუნის საუკეთესო წიგნადი გამოცემის გამოსავლენად. დახმარების მიზნით გთავაზობთ იმ გამოცემათა სიას, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ XX საუკუნის ქართული კულტურის განვითარებისათვის, (თან გავითვალისწინეთ მათი საგამომცემლო-პოლიგრაფიულ დონე და მოცულობა). გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველმა ამ სიაში უნდა ამოირჩიოს 10 საუკეთესო გამოცემა და შესაბამისად მიუწეროს ქულები შემდეგნაირად:

საუკეთესოს – 10 ქულა, შემდეგს – 9, მესამე ადგილზე მიჩნეულს – 8 და ა. შ. თუ ამ სიაში გამოგრჩა თქვენთვის საუკეთესოდ მიჩნეული გამოცემა, გთხოვთ ჩაწეროთ ცარიელ გრაფაში. გამოკითხვის ბარათი ამოჭერით და ჩააგდეთ ეროვნული ბიბლიოთეკის შესასვლელში გაზეთისთვის განკუთვნილ ყუთში. გამოკითხვის შედეგი გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში, ხოლო თუ თქვენ გამოიცანით 10 საუკეთესო წიგნი, დაჯილდოვდებით „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემით.

მონაწილის გვარი, სახელი ______

საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი ______

| | | |
|---|---|---|
| 1 | გიორგი მერჩულე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. (I გამოცემა ქართ. და რუს. ენებზე). რედ.: ნიკო მარი. სპბ. 1911. | |
| 2 | ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. (5 ტომად). თბ. 1913-53 . | |
| 3 | ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. 1 (მ. გედევანიშვილის გამოცემა). ტფ.: 1914 . | |
| 4 | ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. (5 ტომად). რედ.: პ. ინგოროყვა. თბ.: სახელგამი. 1937-62 | |
| 5 | ქართული წიგნი (ბიბლიოგრაფია). (1629-1920). ტ.1. თბ.: წიგნის პალატა. 1941. | |
| 6 | ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. მრავალტომეული. რედ.: ი. აბულაძის, ე. მეტრეველი. თბ.: მეცნიერება. 1946-87. | |
| 7 | ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. (8 ტომად). რედ.: ა. ჩიქობავა. თბ.: მეცნიერება. 1950-1964 | |
| 8 | ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. (1866-1904). 6 ტომად. თბ. 1952-1975. | |
| 9 | ქართლის ცხოვრება. რედ.: ს. ყაუხჩიშვილი (3 ტომად). თბ.: სახელგამი. 1955-73. | |
| 10 | ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული. (5 ტომად). თბ.: საბჭოთა საქართველო. 1960-61. | |
| 11 | ჩვენი საუნჯე. 20 ტომად. თბ.: ნაკადული . 1960-61. | |
| 12 | ქართული ხელნაწერი. რედ.: ვ. ბერიძე. შემდ.: ელენე მაჭავარიანი. თბ.: ხელოვნება. 1970. | |
| 13 | თამაზ გამყრელიძე. ვიაჩესლავ ივანოვი. ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები (რუს. ენაზე). 2 ტომად. თბ.: თსუ. 1974 | |
| 14 | ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (11 ტომად). 1975-87. | |
| 15 | იაკობ ცურტაველი. შუშანიკის წამება. შემდ. რედ. ო. ეგაძე. თბ.: ხელოვნება. 1983. | |
| 16 | ლეილა ხუსკივაძე. ტიხრული მინანქარი. თბ.: ხელოვნება. 1984. | |
| 17 | გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. 2 წიგნად. თბ.: ხელოვნება. 1987-90. | |
| 18 | ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა კრებული.(6 ტომად). პარიზი.: გამომცემლობა „ქართული წიგნი". 1989. [ძვირფასი გამოცემა] | |
| 19 | | |
| 20 | | |

**რა გსურთ შეიძინოთ? შეავსეთ და შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში**

ავტორი ______

წიგნის დასახელება ______

გამოცემის ადგილი და წელი ______

ავტორი ______

წიგნის დასახელება ______

გამოცემის ადგილი და წელი ______

მკითხველის ტელეფონი და სახელი ______

P.S. შეგიძლიათ ჩაწეროთ ის ლიტერატურა, რომელიც ჩვენს გაზეთში არ არის აღნიშნული, ასევე ბუკინისტური ლიტერატურა, არაუმეტეს ორი დასახელებისა.

# რეიტინგი

## საფირმო მაღაზია „საუნჯე“

### რუსთაველის პროსპექტი №28

| № | ავტორი, დასახელება, გამომცემლობა | ფასი |
|---|---|---|
| 1 | საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წ. 1: სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულება. თბ.: სამართალი. 1999. | 11-00 |
| 2 | საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წ. 2: სანივთო (ქონებრივი) სამართალი. თბ.: სამართალი. 1999. | 11-00 |
| 3 | ლაშა ბუღაძე. საუკუნის მკვლელობა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2000. | 6-50 |
| 4 | რუდოლფ შტაინერი. აკაშა – ქრონიკიდან. თბ.: პავლე მაღრაძის გამოცემა. 2000. | 4-55 |
| 5 | შალვა ჩიკვაშვილი. საოჯახო სამართალი. თბ.: მერიდიანი. 1999. | 19-50 |
| 6 | კონსტანტინე გამსახურდია. პოლიტიკური სცენის მიღმა. თბ.: კანდელი. 2000. | 4-55 |
| 7 | გიორგი მკურნალაძე, მამუკა სამხარაძე. პოლიტოლოგია. თბ.: ცოდნა. 2000. | 12-00 |
| 8 | გურამ ჯოლია. ეტიკეტის საფუძვლები. თბ., 2000. | 8-85 |
| 9 | ალექსანდრე ბენდიანიშვილი. საქართველოს ისტორია, 1801-1921. თბ.: განათლება. 1999. | 10-40 |
| 10 | თენგიზ გოლეთიანი, თემურ შენგელია. საწარმოს ეკონომიკა. თბ.: მერანი-3. 1999. | 13-00 |
| 11 | ოლიმპიური ენციკლოპედია. თბ., 1997. | 10-40 |
| 12 | აკა მორჩილაძე. გადაფრენა მადათოვზე და უკან. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 1998. | 4-50 |
| 13 | ალფრედ შკლიარსკი. ტომეკი ადამიანთა მონადირეთა ქვეყანაში. თბ.: ლეთა. 1999. | 2-00 |
| 14 | ნუგზარ პაიჭაძე. შრომის ეკონომიკა. თბ.: სახ. უნ-ტის გამომცემლობა. 2000. | 15-00 |
| 15 | ოთარ ქვრივიშვილი. სვეტიცხოვლის მისტერია. თბ., 2000. | 9-10 |
| 16 | ჯანსუღ ღვინჯილია. ქართლოსის საფლავი. თბ.: მერანი. 1998. | 6-50 |
| 17 | ილია მეკოკიშვილი, მურმან ედილაშვილი. საგზაო მოძრაობის წესები. თბ., 2000. | 6-50 |
| 18 | პოლ სამუელსონი, ვილიამ ნორდჰაუსი. ეკონომიკა. ტ. 1. თბ., 1999. | 16-25 |
| 19 | დეილ კარნეგი. როგორ შევიძინოთ მეგობრები და როგორ მოვიმხროთ ადამიანები. თბ.: ორიონი. 1992. | 2-00 |
| 20 | გიორგი მჭედლიძე. ისტორია უდისტანციოდ. ქუთაისი. 1999. | 13-00 |
| 21 | ჟან პრადელი. შედარებითი სისხლის სამართალი. თბ.: Sani. 1999. | 19-50 |

## საფირმო მაღაზია „მერანი“

### რუსთაველის პროსპექტი №42

| № | ავტორი, დასახელება, გამომცემლობა | ფასი |
|---|---|---|
| 1 | სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბ.: მერანი. 1993. | 2-50 |
| 2 | დალი ცაავა. პონტოს ევქსინოსი. თბ.: მერანი. 2000. | 1-00 |
| 3 | ოთარ ჭილაძე. აველუმ... თბ.: მერანი, 1995. | 10-00 |
| 4 | ანანია ჯაფარიძე. | 8-00 |
| 5 | აკაკი ბაქრაძე. კარდუ. თბ.: ლომისი. 1999. | 5-00 |
| 6 | ზურაბ კიკნაძე. შობიდან შობამდე. თბ.: მერანი. | 4-00 |
| 7 | ნოდარ დუმბაძე. მზეო, ამოდი, ამოდი. თბ.: ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფონდი. 1998. | 6-00 |
| 8 | ზურაბ ქაფიანიძე. კაცობრიობის პირველი ანბანი. თეიმურაზ მიბჩუანი. მეოცე საუკუნის უდიდესი აღმოჩენა. თბ.: 1997. | 1-00 |
| 9 | ბესო ხვედელიძე. გაფრინდინელა. თბ.: მერანი. 2000. | 3-00 |
| 10 | რუდოლფ შტაინერი. აკაშა-ქრონიკიდან. თბ.: პავლე მაღრაძის გამოცემა. 2000 | 4-40 |
| 11 | თეიმურაზ მიბჩუანი. აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები და ეპიგრაფიკა. თბ.1999. | 3-00 |
| 12 | გივი ალხაზიშვილი. ამოდის თუ ჩადის მზე. თბ.: მერანი. 1999. | 1-20 |
| 13 | ლაშა ბუღაძე. საუკუნის მკვლელობა. თბ.: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2000. | 6-25 |
| 14 | Георгий Жоржолиани. Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия. Тб.: Мецниереба. 2000. | 3-00 |
| 15 | Геронти Гасвиани. Абхазия. Древние и новые абхазы. Тб.: Мематиане. 2000. | 5-50 |
| 16 | რატი ამაღლობელი. ზმნა. თბ.: აზრი. 2000. | 5-00 |
| 17 | თამარ მოლაშვილი. აფხაზეთი. დრამატულ დღეთა ქრონიკა. თბ.: აზრი. 2000. | 2-50 |
| 18 | ლია სტურუა. ასი სონეტი და სხვ. თბ.: მერანი. 1999. | 2-50 |
| 19 | გივი ალხაზიშვილი. სოდომიდან სოდომამდე. თბ.: მერანი. 1999. | 1-00 |
| 20 | მაია მიქაბერიძე. ზღვარი, ლექსები. თბ. 2000. | 2-00 |
| 21 | გურამ დოჩანაშვილი. ოთხი მოთხრობა. თბ.: მერანი. 1991. | 2-00 |

# ბუკინისტური წიგნი



## თვის რეიტინგი

გთავაზობთ დეკემბრის თვის მონაცემებით შედგენილ რეიტინგს, სათაურით **„ბესტსელერი 20+1“**, რომელიც მოგვაწოდა თბილისის ორმა ცენტრალურმა მაღაზიამ – **„საუნჯემ“** და **„მერანმა“**. აღნიშნულ ცხრილში მოცემულია სია ამ თვის განმავლობაში ყველაზე მეტი რაოდენობით გაყიდული 21 წიგნისა. გაზეთი მზად არის, შემდეგ ნომრებში დაბეჭდოს სხვა მაღაზიების შედეგებით შედგენილი რეიტინგიც. ცხრილში მოცემულია წიგნის ავტორი, სათაური, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა და ფასი. რეიტინგში პირველ ადგილზე გასული წიგნი მიჩნეულია თვის ბესტსელერად. წლის ბოლოს გამოქვეყნდება ყველა თვის ბესტსელერთა ცხრილი, აგრეთვე ის გამოცემები, რომლებმაც მთელი წლის განმავლობაში არ დაკარგეს აქტუალობა და შევიდნენ ყოველთვიურ 21 საუკეთესო გამოცემათა შორის.

## მაღაზია „ბუკინისტური წიგნი“ გთავაზობთ

**კოსტავას ქ. 6. ☎ 98 24 06**

### ● ენციკლოპედია, ცნობარი

ნ. ნ. გამრეკელი. მ. ა. მგალობლიშვილი, ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. – თბ.: საბჭოთა საქართველო, 1966. – 639 გვ.

აკაკი გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. – თბ.: საბჭ. საქართველო, 1983. – 719 გვ.

ინგლისურ-ქართული ეკონომიკური ლექსიკონი (შემდგ. დავით ბასიაშვილი). თბ.: განათლება. 1994. – 632 გვ.

როლანდ კლდიაშვილი, ნინო კლდიაშვილი. ქართულ-ინგლისური სასაუბრო: განმარტებითი ლექსიკონი მოსწავლეთათვის. მე-2 გამოც. თბ.: უფლება, 1999. – 336 გვ. 10 ლ.

რუსულ-ქართული ლექსიკონი.: 3 ტომად. – თბ.: საქ. მეცნ. აკად., 1956. 75 ლ. (სამივე).

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი. სამკურნალო წიგნი: კარაბადინი. (ორ ტომად). – თბ.: მეცნიერება, 1986. ტ. 1-2. 10 ლ.

### ● რელიგია

იაკობ გოგებაშვილი. საღმრთო ისტორია. თბ.: ნაკადული, 1990. – 347 გვ. 5 ლ. 50 თ.

საღვთო სჯული, (შემდგ. არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი). მე-15 გამოც. ქუთაისი, ქართ. შ. წ. კ. გამ. საზ-ბა. 1916. – 144 გვ. 3 ლ. 50 თ.

ფსალმუნნი. თბ.: საქ. საპატრიარქო, 1995. – 176 გვ. 3 ლ.

ფსალმუნნი მეფის დავითისა. – 158 გვ. 2ლ. 50 თ.

### ● ლიტერატურის ისტორია

გივი ბოჯგუა. სწორად ვამბობთ და ვწერთ V-XI კლასების მოსწავლეთათვის: თბ.: განათლება, 1999. – 111 გვ. 3 ლ.

იაკობის სამრეკლო. – თბ.: განათლება, 1990. – 605 გვ. 2 ლ.

თ. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. – თბ.: სახ. უნ-ტი, 1970. ტ. 1. ნაწ. 1. – 383 გვ. 15 ლ.

კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII ს.ს.). სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის. – თბ.: სახ. უნ-ტი, 1987. – 496 გვ. 25 ლარი.

კორნელი კეკელიძე. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტომი 1-2. – თბ.: მეცნიერება, 1980. – 719 გვ. 30 ლ. (ორივე ტომი).

საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია / (ავტ.: გრ. ხავთასი, შ. რევიშვილი, ნ. ორლოვსკაია, გ. გაჩეჩილაძე) თბ.: სახ. უნ-ტი, 1959. ნაწ. 1. – 507 გვ. 10 ლარი.

აკაკი ურუშაძე. ძველი ბერძნული ენა: სახელმძღვანელო უმაღ. სკოლებისათვის. თბ.: სახ. უნ-ტი, 1969. – 427 გვ. 20 ლ.

ა. შანიძე. ქართული ენის გრამატიკა. თბ.: სახ. უნ-ტი, 1955. [ნაწ.] 1. მორფოლოგია. – 330 გვ. 20 ლ.

ვასილ ჩაჩანიძე. ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე. თბ.: ხელოვნება, 1980. – 202 გვ. ილ., 15 ლ.

ზურაბ ჭუმბურიძე. რა გქვია შენ? მე-3 შევს. გამოც. – თბ.: განათლება, 1982. – 306 გვ. 5 ლ.

ნიკოლოზ ჯანაშია. შუშანიკის წამება. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. თბ.: საბჭოთა საქართველო. 1980. – 318 გვ. 10 ლ.

### ● მხატვრული ლიტერატურა

ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. – თბ.: სახელგამი, 1945. 169 გვ. 7ლ..

იაკობ გოგებაშვილი. საგანძური. მე-2 გამოც. – თბ.: განათლება, 1986. 448 გვ. 5 ლ.

### ● ისტორია

ვ. დონაძე. საზღვარგარეთული აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი ისტორია: XX საუკ. 70-იანი წლებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე: სახელმძღ. უმაღ. და საშ. განათლ. – თბ.: განათლება, 1965. – 499 გვ. 5 ლ.

ა. პარადისისი. ბალთაზარ კოსას ცხოვრება და მოღვაწეობა: პაპი იოანე XXIII. – თბ.: საბჭოთა საქართველო. 1964. – 470 გვ. 3 ლ. 50 თ.

ლევან სანიკიძე. ალექსანდრე მაკედონელი. – თბ.: სახ. უნ-ტი, 1984. – 377 გვ. 5 ლ.

ლევან სანიკიძე. ანტიკური ქვეყნების ისტორია: პუნიკური ომების ეპოქა: დამხმ. სახელმძღვანელო სტუდ. – თბ.: ცოდნა, 1963. – 232 გვ. 10 ლ.

ლევან სანიკიძე. პონტოს სამეფო. – თბ.: სახელგამი, 1956. – 219 გვ. 5 ლ.

ლევან სანიკიძე. რომის გვიანდელი რესპუბლიკა: დამხმ. სახელმძღ. პედ. ინ-ტის სტუდ. – თბ.: განათლება, 1970. – 277 გვ. 5 ლ.

ლევან სანიკიძე. რომის იმპერია: დამხმ. სახელმძღვ. ნაკვ. 1. პრინციპატი. – თბ.: 1969. – 197 გვ. 5 ლ.

ლევან სანიკიძე. წიგნი მონამეთა. – თბ.: განათლება. 1988. – 620 გვ. 5 ლ.

საქართველოს ისტორია: საკითხავი წიგნი (შედგ. ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის რედ. გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების მიხედვით). – თბ.: მეცნიერება, 1980. – 467 გვ. 10 ლ.

აკაკი სურგულაძე, პაატა სურგულაძე. საქართველოს ისტორია: საკითხავი წიგნი 1783-1990. – თბ., 1991. – 461 გვ. 7 ლ.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. თბ., 1990. წიგ. 5: გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურის რაიონები. – 1990. – 498 გვ. 10 ლ.

### ● სხვადასხვა

ჰოროსკოპი: დრუიდთა, დასავლური, იაპონური, ჩინური. – თბ.: ივერია, 1990. – 235 გვ. 5 ლ.

თენგიზ გიორგაძე. ჭადრაკის ანბანი. მე-3 გამოც. – თბ.: განათლება, 1983. – 303 გვ. 5 ლ.

იური ბორევი. ესთეტიკა. – თბ.: ხელოვნება, 1986. – 511 გვ. 5 ლ.

### ● ანტიკვარიატი

**Собрание сочинений Шиллера в переводе русских писателей. Под ред. С. А. Венгерова. 1-4 тт. Издание Акц. общ. Брокгауз - Ефрон. Спб 1901-1902. 300 лари.**

ზაქარია ჭიჭინაძე. ქართული სტამბები. 1627-1916 წ. ნიკოლოზ ლოლობერიძე და ზოგი ქართველი მოღვაწენი. – თბ. [1916] – 5 ლ.

### ● შევიძენ

📖 მარიამ ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ. 1963.

გიორგი მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფედოალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი.

კორნელი კეკელიძე. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ყველა ტომი.

მეტრეველი ელ. „უძველესი იადგარი“.

პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ., 1983. ფასი 10 ლარი.

პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ., 1983. ფასი 10 ლარი.

თედო ჟორდანია. ქრონიკები. ტ. I-III. ფასი 20+20+10=50 ლარი.

გურამ შარაძე. ილია ჭავჭავაძე. ტ. I-II. 15 ლარი.

აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

**Законы Вахтанга Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси,** 1980.

**Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси,** 1984.

XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988.

გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ). რომან ყაუხჩიშვილის გამოცემა. მრავალტომეული. თტთო ტომი 5 ლ.

ქართული ხალხური პოეზია. ტ. 2-3. თითო ტომი 3 ლარი.

ქართლის ცხოვრება. ტ. I, II, IV. (სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით). თითო ტომი 15 ლარი.

კასტელის ალბომი. ფასი 12 ლარი.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. I-II. ფასი 10 ლარი.

899530522.25-05-22, 29-31-33, ბუბა.

📖 ფალიაშვილი შოთა. სამართალდამცავი ორგანოები. 1998.

93-87-76. ალიკო

📖 არაქართულ ენოვანთათვის ძვ. ქართული ენის ლექსიკონები, სახელმწიფოები.

65-84-27, ნოდარი.

📖 **М. К. Пемуров. Язык, знак, культура. М., 1991 г.**

76-93-54, ემზარი.

📖 **Штернберг. Гильяки, Орочи, Голды, Негидальцы, Айны. 1933.**

**Предание о нишанской шаманке. 1961 г.**

**Лаврентий из Бржезовой. Гуситская хроника. 1962 г.**

**Кекавмен. 1972 г.**

**Гельмольд. Славянская хроника. 1963 г.**

**Козьма Пражский. Чешская хроника. 1962 г.**

**Галл Аноним. Хроника и деяния князей Польских. 1961 г.**

**Богораз-тан. Чукчи. 3 т. 1938-1939 гг.**

**Хангалов. Сочинения. 3 т. 1958-1959 гг.**

**Генрих Латвийский. Хроника Ливонии. 1938 г.**

**т.: 69-53-33 (ზურა)**

### ● იყიდება

📖 მე-19 საუკუნის ხელნაწერი – „ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული“

62-13-93, ნაზი.

📖 შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი (გ. ქართველიშვილის გამოცემა). თბ. 1888 წ. ფასი 100 $.

53-25-90, ფისო.

📖 [შოთა რუსთაველი] „ვეფხისტყაოსანი თქმული შოთა რუსთველისაგან თამარ მეფის დროს“. სანკტ-პეტერბურღი, 1860 წ. ფასი 100 ლარი.

66-00-60, გოჩა.

📖 ვიქტორ ნოზაძე [შოთა რუსთაველი] ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება. სანტიაგო დე ჩილე, 1958 წ. გამოცემა ავთანდილ მერაბიშვილისა.

37-56-34, ცირა.

📖 **Фауст. Трагедия Вольфганга Гете, с 50 картинками А. Лизенъмайера, спб, М.**

37-56-34, ცირა.

# ბედი ერთი გამოცემისა

1922 წელს ქართველმა მკითხველმა მიიღო ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს. მისი გამოცემა განიზრახა ნ.ბარათაშვილის დისწულმა ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავმა. ის ერთადერთი ნათესავი იყო, რომელმაც თავისი წინაპრის ღირსეულად დაფასება გადაწყვიტა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის ნათესავები უპატიებელ პასიურობას იჩენდნენ ამ საქმეში. მაგალითად:

პოეტის მამამ – მელიტონმა პირველი გამოცემისთვის შეგროვილი ფული გამოართვა ამ საქმის ინიციატორებს ოჯახის მძიმე ეკონომიური მდგომარეობის მომიზეზებით, თუმცა რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ოჯახის დახმარებისათვის უკვე იყო გამოყოფილი სოლიდური თანხა; პოეტის დები უნდობლად იღიმებოდნენ, როდესაც სხვები მათი ძმის პოეზიაზე საუბრობდნენ. მათ შეცდომით მიუთითეს ნიკოლოზის საფლავი განჯაში და გადასვენების საორგანიზაციო კომიტეტის მიხვედრილობა რომ არა, ალბათ ისიც დაიკარგებოდა. ასევე დაუდევრობით მიმოფანტეს ძმის არქივი და დაკარგეს ფოტოსურათიც.

ამ ფონზე მართლაც, რომ გამოირჩეოდა ნიკოლოზ ერისთავი. სწორედ ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის ცნობილმა ბიოგრაფმა იონა მეუნარგიამ თავისი ნაშრომი „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა", სწორედ მას მიუძღვნა. იგი მწერალი არ ყოფილა, მაგრამ იყო დიდი პატრიოტი, მრავალი სასიკეთო საქმის სპონსორი, საინტერესო მოკამათე, ილია ჭავჭავაძის და დ. ერისთავის ახლო მეგობარი, და, ერთი სიტყვით, თავისი დროის კოლორიტული ფიგურა. მან ცოლად ცნობილი სომეხი კომერსანტის მიხეილ თამამშევის ასული ეკატერინე შეირთო.

სამწუხაროდ, მათ შვილი არ შეეძინათ, ეკატერინე კი ძალზე მოსიყვარულე, სათნო და ერთგული მეუღლე აღმოჩნდა.

ნიკო ერისთავის გარდაცვალების შემდეგ ეკატერინე თამამშევა-ერისთავმა ქმრის სურვილის აღსასრულებლად 1915 წლის გაზაფხულზე ქართველი მწერლებისაგან შეადგინა კომისია, გადასცა განსაზღვრული თანხა და სთხოვა გამოცემის ორგანიზება. კომისიაში შედიოდნენ: კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. ერისთავი, გ. თუმანიშვილი, გ. ლასხიშვილი, გ. გურული, გრ. რობაქიძე, ს. ფირცხალავა, დ. შევარდნაძე, ი. ჯავახიშვილი და პოეტის


ნ. ბარათაშვილი

ლექსები
ბედი ქართლისა
წერილები

ტფილისი 1922 წელსა

დისწული გ. ვეზირიშვილი. რევოლუციამ, ცხოვრების კატაკლიზმებმა ეს იდეა სამომავლოდ გადადო. როგორც სამსონ ფირცხალავა წერდა, „ბოლოს დავრჩით მე და პატივცემული ეკატერინე, რომელთაც უნდა გვეზრუნა გამოცემისათვის. მე თავი ვერ დავანებე საქმეს, ამის ნებას არ მაძლევდა არც პოეტის პატივისცემა და სიყვარული, არც ნაკისრი მოვალეობის შეგნება".

ასე დარჩა დასამუშავებელი პოეტის ავტოგრაფები სამსონ ფირცხალავას. მიუხედავად საქმის სიძნელისა, მან ღირსეულად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. წიგნის გამოცემას რედაქტორი შვიდი წელი ელოდა და, ალბათ, ბედისწერა იყო, რომ სამსონ ფირცხალავა სწორედ იმ დღეებში დააპატიმრა საბჭოთა მთავრობამ, როცა ასე ნანატრი წიგნი იბეჭდებოდა. ამ გამოცემის ჯერ კიდევ საღებავშეუმშრალი ეგზემპლარი ახალდაპატიმრებულ რედაქტორს ეტლში მიაწოდა იოსებ გრიშაშვილმა.

გამოცემის ბოლოსიტყვაობაში რედაქტორი წერდა: „იმედს გამოვთქვამ, რომ გვეღირსება გამოცემის განმეორება და მაშინ შევძლებთ სავსებით განვახორციელოთ ის გეგმა, რომელიც ჰქონდა პატივცემულ ეკატერინე ერისთავისას და მთელს კომისიას".

მას შემდეგ ბარათაშვილის თხზულებათა არაერთი გამოცემა დაბეჭდილა, მაგრამ ს. ფირცხალავა მხოლოდ ემიგრაციიდან ადევნებდა თვალყურს ამ გამოცემათა საბჭოურ გამას. ხოლო სამშობლოში დაბრუნებული დააპატიმრეს და 80 წლის ხუნდებდადებული მოხუცი გადასახლების გრძელ გზას გაუყენეს.

ნ. ბარათაშვილის თხზულებათა I აკადემიური გამოცემა 2600 ცალად დაიბეჭდა. რედაქტორს დიდი დახმარება გაუწია პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა. გამოცემა გააფორმა მხატვარმა იოსებ შარლემანმა. ტიტულის ფურცელზე და კანზე მისი სახელისა და გვარის პირველი ასოებია დაბეჭდილი.

გამოცემას საფუძვლად უდევს ნ. ბარათაშვილის A ავტოგრაფი, რომელიც ე. თაყაიშვილის ვარიანტის სახელწოდებით არის ცნობილი.

A ავტოგრაფი დამოუკიდებელ ორ ნაწილად იყოფა. ერთი შეიცავს პოეტის 26 ლექსს, მეორე კი პოემას – „ბედი ქართლისა", რომლებიც მთლიანად უმნიშვნელო შესწორებით არის დაბეჭდილი. ის ლექსები, რომლებსაც აღნიშნული ხელნაწერი არ შეიცავდა, დამატებულია პოეტის ოთხი სხვა ავტოგრაფიდან (B – ვეზირიშვილისეული; C – გუნიასეული; D – მაიკო ორბელიანისეული; E – ბარბარე ერისთავის); აგრეთვე სხვადასხვა ხელნაწერებიდან – 3, გაზეთ „დროებიდან" – 1, ჟურნალ „საქართველოს მოამბიდან" – 1, ჟურნალ „ივერიიდან" – 3, პოეტის თხზულებათა მეოთხე გამოცემიდან – 1. სულ დაიბეჭდა 40 ლექსი და ერთი პოემა.

პოეტის წერილების უმრავლესობის ავტოგრაფი რედაქციას ხელთ არ ჰქონდა. ისინი გადაბეჭდილია სხვადასხვა ხელნაწერებიდან, მათ შორის უმთავრესად პეტრე უმიკაშვილის მიერ გადაწერილი პირიდან.

გამოცემის ტექსტს წინ უძღვის იონა მეუნარგიას „ცხოვრება ნ. ბარათაშვილისა". წიგნის დასასრულს დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფები", ს. ფირცხალავას „ვარიანტების განსხვავება და განმარტებანი", გ. ქიქოძის, დ. უზნაძის, ს. გორგაძის და გ. ჯავახიშვილის წერილები ნ. ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

წიგნი შემკულია პოეტის ფაქსიმილეებით და, რაც მთავარია, XIX საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების ყოფის ამსახველი მასალით, პოეტის თანამედროვეთა პორტრეტებით, რითაც, სამწუხაროდ, ღარიბია ბარათაშვილის შემდგომი გამოცემები. ფრიად დამაფიქრებელია, რომ XX საუკუნის დასასრულს, პოლიგრაფიული საქმის განვითარების დღევანდელ დონეზე, ეს გამოცემა ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება.

რედაქტორმა გაიზიარა ექვთიმე თაყაიშვილისა და დავით კარიჭაშვილის პოზიცია, რომელიც მათ ბარათაშვილის თხზულებათა 1895 წლის გამოცემაში აღნიშნეს: „შესაძლოა ზოგი სიტყვა და ფრაზა ისე არ ჰქონდეს ბარათაშვილს ნახმარი, როგორც ახლა ხმარობენ ჩვენი მწერლები, მაგრამ მაინც არავის აქვს უფლება მისი ნაწერები გადააკეთოს, გადაასწოროს და მით უმეტეს, გადაამახინჯოს".

1922 წლის თხზულებათა აკადემიური გამოცემა დღეს იშვიათად თუ გამოჩნდება ბუკინისტური მაღაზიების თაროებზე ან გაჭირვებული თბილისელი მოქალაქეების მიერ ქუჩაში გასაყიდად გამოფენილ სხვადასხვა გამოცემათა შორის. ამ წიგნისადმი ქართველი მკითხველის პატივისცემის ნიშანია მისი ფაქსიმილური გამოცემა, რომელმაც ახალი სიცოცხლე შესძინა იმ პირთა სახელებს, რომელთაც ეს გამოცემა მოამზადეს. ფაქსიმილური გამოცემა შეგიძლიათ შეიძინოთ მაღაზია „მერანში".

ლ. თაქთაქიშვილი


ნიკოლოზ რევაზის-ძე ერისთავი 1850-1915


ეკატერინე მიხეილის ასული თამამშევა-ერისთავისა. 1857-1937. ქველმოქმედი. ქმრის, ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავის სახსოვრად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა 10000 მანეთის ღირებულების თბილისის სათავადაზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები და ამ ფონდზე დაყრდნობით დაწესდა პრემია საუკეთესო დასტამბული ან ხელნაწერი ნაწარმოებისათვის. 1915 წელს აირჩიეს ამ საზოგადოების საპატიო წევრად. იყო ქართული თეატრის მეცენატი. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა სმირნოვების (დღეს კავკასიურ) სახლში. აქვე ინახება მისი არქივი.



# თამარ დონდუა

თითქოს და ეს უპრეტენზიო, თავმდაბალი და ერთი შეხედვით შეუმჩნეველი პიროვნება სინამდვილეში საინტერესო ადამიანი გახლდათ. პიროვნება, რომელსაც ძალზედ რთული ცხოვრების გზა ხვდა წილად.

თამარის დედა, ნინო, კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ქალიშვილი, 1911 წელს მეუღლესთან, ბიქტორ დარისპანის-ძე დონდუასთან ერთად, საფრანგეთში გაემგზავრა (ბიქტორი საზღვარგარეთ სასწავლებლად ჩავიდა) საცხოვრებლად ქ. რუანში დასახლდნენ, სადაც 1912 წელს ქალიშვილი თამარი შეეძინათ. საფრანგეთის ჰავამ უარყოფითად იმოქმედა ახალგაზრდა დედის ჯანმრთელობაზე, რაც კიდევ უფრო მეტად დაამძიმა სამშობლოსა და ახლობლებისადმი უიმედობაში გადაზრდილმა ნოსტალგიამ. მეუღლის მდგომარეობით შეშფოთებულმა ბიქტორ დონდუამ ცოლშვილი სამშობლოში გამოისტუმრა. ცოლ-ქმრის მიმოწერა 1918 წელს შეწყდა, რომელიც შემდეგში აღარ განახლებულა. თამარის მამა სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. იგი ემიგრანტი გახდა. და, რასაკვირველია, საბჭოური რეჟიმის პირობებში ამან მისი ოჯახის წევრების ბედზეც გარკვეული გავლენა მოახდინა. ქალბატონი ნინო 1938 წელს გარდაიცვალა.

თამარ დონდუა ამ დროს 26 წლისაა. მძიმე წუთებში მის გვერდით არიან მამის ძმები, ქართველი გამოჩენილი მეცნიერები: დავით, ვარლამ და კარპეზ დონდუები. თამარს დამთავრებული აქვს საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტის სალიტერატურო ფაკულტეტი და საბიბლიოთეკო მუშაობის რვა წლის სტაჟს ითვლის. 1931 წელს მუშაობას იწყებს საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, 1932 წელს – საქართველოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. მუშაობის პარალელურად კვალიფიკაციას იმაღლებს განსახკომთან არსებულ კურსებზე. 1937 წელს სამუშაოდ გადადის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც უკვე მუშაობს დედამისი – ქალბატონი ნინო და აქ იწყება თამარის, როგორც საბიბლიოთეკო საქმის უბადლო სპეციალისტის ჩამოყალიბება. მისი კარიერა რიგითი ბიბლიოთეკარიდან მხარეთმცოდნეობის კაბინეტის (ამჟამად ქართველოლოგის განყოფილება) გამგემდე სულ რაღაც ოთხ წელიწადს მოიცავს. 1937 წელს კატალოგისტია, 1938 წელს – მეცნიერ-მუშაკთა კაბინეტის ბიბლიოთეკარი, 1939 წელს – რეალური კატალოგების განყოფილების კლასიფიკატორი; 1941 წლის თებერვლიდან, ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტშია, ხოლო ექვსი თვის შემდეგ, 1941 წლის აგვისტოდან, 1967 წლის ივლისამდე მხარეთმცოდნეობის განყოფილების უცვლელი გამგეა.

მხარეთმცოდნეობის კაბინეტის, გამგის თანამდებობაზე თამარის წინამორბედი იყო ენციკლოპედიური განათლების მქონე რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი თამარ მაჭავარიანი. აქ დაიწყო ამ ორი თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული დიდი სპეციალისტის საქართველოში სამხარეთმცოდნეო-საბიბლიოთეკო საქმიანობის აღორძინებისათვის ერთობლივი ზრუნვა. ეს იყო საოცარი თანამშრომლობა, სადაც ერთმანეთს ავსებდა თამარ დონდუას საბიბლიოთეკო პრაქტიკული საქმიანობის ღრმა ცოდნა და თამარ მაჭავარიანის საბიბლიოთეკო დარგის ფართო მეცნიერული ხედვა.

ერთობლივი ძალებით შეიმუშავეს სამხარეთმცოდნეო ფონდის დაკომპლექტების პროფილი, სადაც უპირატესობა გეოგრაფიულ-სისტემატურ განლაგებას მიეცა. აქ გათვალისწინებული იყო საქართველოს ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები. დამუშავდა კომპლექსური მომსახურების მეთოდი; ერთმანეთს დაუახლოვდა ფონდი, კატალოგი, მომსახურე პერსონალი და მკითხველი. საკითხის ამგვარად გადაწყვეტის სისწორე დაადასტურა მრავალწლიანმა პრაქტიკამ. განყოფილებაში უზრუნველყოფილია მკითხველის სწრაფი და ხარისხიანი მომსახურება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1960 წლის 25-28 იანვარს მოსკოვში ჩატარებულ სამხარეთმცოდნეო საკავშირო თათბირზე უპირატესობა საქართველოს სამხარეთმცოდნეო მუშაობის მეთოდს მიეცა რეკომენდაცია სხვა რესპუბლიკებში დასანერგავად.

თამარ დონდუა განყოფილებაში მოსვლისთანავე აქტიურად ჩაება ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გამოსაცემად მომზადების პროცესში. მისი აღწერილია „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის" მე-2 და მე-3 ტომებში შესული გაზეთები: „დროება" (1866-1885), „შრომა" (1881-1883) და „ივერია" (1886-1892).

თამარის მიერ მომზადებული ბიბლიოგრაფიული საძიებლები ფასდაუდებელი იყო საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ლიტერატურის, ისტორიის თუ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული ყველა რანგის მკვლევარებისათვის. მრავალი შრომის შემდგენელი და რედაქტორი შეუდარებელი ბიბლიოგრაფიული ალღოთი იყო დაჯილდოებული.

თამარმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში 30 წელი კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად იმუშავა. მისი ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის საპატიო და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდებები.

მაგრამ იყო ბევრი ტკივილიც და არაერთი დაუმსახურებელი საყვედურიც: აი, ერთ-ერთი მათგანი: „მიეცეს საყვედური თამარ დონდუას ბიბლიოთეკაში 4 წუთით დაგვიანების გამო". მაგრამ ყველაზე დიდი და მთავარი ჯილდო ის დიდი დაფასება და სიყვარული იყო, რომელიც ამ ფუტკარივით მშრომელმა ქალბატონმა მკითხველთა ფართო მასებში მოიპოვა: მკითხველი მ. ჯაბიძე იგონებს: „ეს სათნო ღიმილით სახეგანათებული ქალი გაცნობისთანავე გაგიშინაურდებათ, გულითადი საუბრისათვის განგაწყობთ და თვითონაც ასეთივე გულწრფელობასა და გულითადობას მოგაგებებთ. ეს ალბათ ამ ადამიანის ბუნებასთან ერთად მისმა პროფესიამაც განაპირობა" („თბილისი", 1977 წ. 30 დეკემბერი).

დიდი იყო თამარში პროფესიონალიზმით შთაგონებული პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მკითხველისათვის ადგილზე გაწეული დახმარებით და მისი წასვლის შემდეგაც აგრძელებდა საჭირო მასალის მოძიებას; და აი, ფოსტით მკითხველი ღებულობს თამარის ბარათს – „თქვენთვის დამატებით მოვიძიეთ საინტერესო მასალები, რომლებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ წყაროებში"... და ასე შემდეგ. თამარის მკითხველები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: ა. შანიძე, გ. მელიქიშვილი, ვ. ბერიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. გოთუა... და რასაკვირველია, მაშინდელი სტუდენტი ახალგაზრდობა, რომლებიც დღესაც მადლიერებით იგონებენ ამ ღვაწლმოსილ ადამიანს.

კლარა რამიშვილი

**ქართველოლოგიის განყოფილება** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სტრუქტურული ერთეული, შეიქმნა 1935 წელს, როგორც კავკასიოლოგიის კაბინეტი (იწოდებოდა მხარეთმცოდნეობის კაბინეტად), შემდგომ განყოფილების სტატუსი მიიღო. დაარსებიდან დაიწყო შედგენა ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიისა, რაც ითვალისწინებდა როგორც პერიოდიკის ანალიტიკურ აღწერილობას, ასევე ფსევდონიმების, კრიპტონიმების გახსნას. ყოველწლიურად გამოსცემდა სხვადასხვა დარგობრივ სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიას. გ. ფლობს ფონდ „გეორგიკას"–კომპლექტდება ლიტერატურით საქართველოს და ამიერკავკასიის შესახებ (ისტორია, ეკონომიკა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვა), აზიურ ენებზე ნაბეჭდი ლიტერატურის ფონდს, ქართულ კლასიკოსთა თხზულებათა გამოცემების სრულყოფილ კოლექციას, პირად ბიბლიოთეკა-კოლექციებს, XIX საუკუნის პერიოდიკის ფონდს, საარქივო ფონდს (კომპლექტდება საარქივო მასალებით საქართველოს შესახებ). გ. აწარმოებს ფონდი „გეორგიკის" ანბანურ სისტემატურ, გეოგრაფიულ კატალოგებს. გ-ს მიერ გამოცემული უმნიშვნელოვანესი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია: **1-3.** ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია 3 ტომად (1852-1905). თბ., [გამოიცა 1940-1944 წლებში]. **4-8.** ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. II, III, IV, V, VI (1866-1904). თბ., [გამოიცა 1952-1975 წლებში]. **9.** ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი (ორ ნაწილად). შემდგ. თ. მაჭავარიანი. თბ., [გამოიცა 1954 და 1964 წლებში]. **10.** ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი. შემდგ. თამარ მაჭავარიანი. თბ., 1957. **11.** ქართველი და საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობანი. ბიბლიოგრაფიული საძიებელი. (3 ნაკვეთად) [გამოიცემოდა 1975-1983 წლებში]. **12.** საქართველოს ისტორიული ძეგლები. ბიბლიოგრაფიული საძიებელი (4 ნაკვეთად) [გამოიცემოდა 1979-1989 წლებში]. **13.** ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი. მეორე შევს. შესწ. გამოც. 1987. **14.** თამარ მაჭავარიანი (პირადი ბიბლიოთეკა და არქივი). ნაკ. I. თბ., 1987.

● რეიტინგი

I რაუნდი

# ვიქტორინა მკითხველთათვის!

თქვენს წინაშეა ვიქტორინის პირველი რაუნდი. წაიკითხეთ დაკვირვებით და შემოხაზეთ ის პასუხი, რომელიც სწორად მიგაჩნიათ. ამ რაუნდში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან, ხოლო მონაწილეთა შედეგები გამოქვეყნებული იქნება შემდგომ ნომერში. აღნიშნული ვიქტორინა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში, წლის ბოლოს კი საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილე დაჯილდოვდება XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემით. სწორი პასუხების შემოხაზვის შემდეგ ამოჭერით და ჩააგდეთ ეროვნული ბიბლიოთეკის შემოსასვლელში არსებულ ჩვენი გაზეთისთვის გამოყოფილ ყუთში.

**I. პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა...**
1. 1503 წელს.
2. 1629 წელს.
3. 1709 წელს.
4. 1712 წელს.

**II. ვახტანგ VI-მ თავის სტამბაში პირველად დაბეჭდა...**
1. დავითნი.
2. სახარება.
3. სამოციქულო.
4. ვეფხისტყაოსანი.

**III. გიორგი ქართველიშვილი იყო...**
1. ვეფხისტყაოსნის გამომცემელი.
2. მესტამბე.
3. ქაღალდის მწარმოებელი.
4. წიგნის მაღაზიის მეპატრონე.

**IV. პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი იყო...**
1. „კვალი“.
2. „გუთნის დედა“.
3. „შრომა“.
4. „გლეხი“.

**V. ვინ არის ეს პიროვნება?**



1. ვახტანგ მეექვსე.
2. ანთიმოზ ივერიელი.
3. ნიკიფორე ირბახი.
4. იოჰან გუტენბერგი.

**VI. პოეტ შალვა კარმელის ნამდვილი გვარი იყო...**
1. კვირკველია.
2. ხოშტარია.
3. გოგიაშვილი.
4. ჩხაიძე.

**VII. რას ნიშნავს ინკუნაბულა?**
1. 1501 წლამდე გამოცემული ბეჭდვითი ნაწარმოები.
2. 1540-1617 წლებში დაბეჭდილი ლიტერატურა.
3. ბუკინისტური წიგნი.
4. ხელნაწერი წიგნი.

**VIII. დეზიდერატა არის...**
1. მაკულატურა.
2. დეზინფექცირებული წიგნი.
3. ლიტერატურა, რომელიც სურს შეიძინოს ბიბლიოთეკამ.
4. ბიბლიოთეკიდან ჩამოწერილი ლიტერატურა.

**IX. ვისი სახელობისაა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა?**
1. შოთა რუსთაველის.
2. ილია ჭავჭავაძის.
3. კარლ მარქსის.
4. დავით აღმაშენებლის.

**X. „ანტიკვა“ ნიშნავს...**
1. უიშვიათეს წიგნს.
2. უიშვიათესი წიგნის ყდას.
3. შრიფტის სახეობას.
4. აკინძვის სახეობას.

______________________
გვარი, სახელი

______________________
საკონტაქტო მისამართი ☎ ტელეფონი


რეკლამა ●



## შ.პ.ს. „ფავორიტი“

**გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში**

- წიგნების
- ჟურნალების
- ბროშურების
- ბუკლეტების

რედაქტირებას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ყდაში

- მუყაოს ყუთების დამზადებას
- ნებისმიერი კონფიგურაციის მყარ ზედაპირზე ტრაფარეტულ და ტამპონურ ბეჭდვას
- საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს

ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20.
ტელ.: 70-84-14, 899 58-96-91.




**შვეულად:** **1.** წარმომადგენლობითი საკანონმდებლო დაწესებულების სახელწოდება ზოგ ქვეყანაში; **3.** ძველებური ხალხური თქმულება; **4.** სხვადასხვა ფერის ზოლი, რომელიც გამჭვირვალე პრიზმაში სინათლის სხივის გავლის დროს მიიღება; **5.** გერმანელი მწერალი და დრამატურგი; **6.** ღვთისმსახური ქალი; **7.** წიგნის, სტატიის მოკლე შინაარსი; **10.** ტროპიკული ხილი; **14.** ქალაქი, სადაც მოღვაწეობდა სტრადივარიუსი; **15.** ქალაქი საფრანგეთში; **19.** მატყუარა, ანუ ...; **20.** ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა; **23.** ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში; **24.** მედლის ან ლითონის ფულის წინა მხარე; **25.** ფრანგი კომპოზიტორი – ავტორი ნაწარმოებისა „მომაკვდავი გედი“; **29.** რისამე განსაკუთრებული ნიჭი, უნარი; **30.** ტროპიკული ხილი; **31.** მდინარე დასავლეთ საქართველოში; **33.** დიდი ზომის ქვეწარმავალი.

**თარაზულად:** **2.** კაცი, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს; **8.** თამაში კეგლებით; **9.** ამერიკული კინოს ჟანრი; **11.** რაიმე ენერგიის უმცირესი რაოდენობა; **12.** საგაზეთო ან სამეცნიერო ხასიათის მცირე ზომის ნაშრომი; **13.** ბუნებრივ კალაპოტში მიმდინარე წყალი; **16.** თავშესაფარი თხრილი; **17.** ხასიათი, ბუნება, ანუ ...; **16.** ქართველი ქალის თავსაბურავი; **21.** შენობის, კედლების რკალისებური ზედა ნაწილი; **22.** როკ-ნ-როლის „მეფე“; **26.** მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა. პოულობენ ზღვაში; **27.** დროის აღრიცხვის ერთეული; **28.** ცთომილი, ანუ ...; **32.** შავი ზღვის ზვიგენი; **34.** განთიადი, ანუ ...; **35.** გარეული ფრინველი; **36.** ამერიკელი წარმოების ავტომობილი; **37.** ლიტვის კალათბურთის „ცოცხალი ლეგენდა“; **38.** მდინარე ამაზონის ბინადარი მტაცებელი თევზი.

## ბიბლიის სახლი

**წარმოგიდგენთ:**

- ახალი აღთქმა აზერბაიჯანულ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმანის ინ-ტი, 1996. – 347 გვ. [0,50 ლ.].
- ახალი აღთქმა არამეულად და ებრაულად. ისრაელის ბიბლიური საზოგადოება, 1986. – 388 გვ. [16 ლ.].
- ახალი აღთქმა და ფსალმუნები იაპონურ ენაზე. – 1997. – 130 გვ. [10 ლ.].
- ახალი აღთქმა და ფსალმუნები ქართულ ენაზე. – გადამუშ. გამოც. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმანის ინ-ტი, 1993. – 683 გვ.: სურ; გეოგრ. რუკები. [3 ლ. 50 თ.].
- ახალი აღთქმა თანამედროვე ბერძნულ ენაზე. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები, 1989. – 538 გვ.: ილ. [2 ლ.].
- ახალი აღთქმა თურქულ ენაზე. თურქეთის ბიბლიური საზოგადოება, 1988. – 555 გვ.: რუკები. [3 ლ.].
- ახალი აღთქმა რუსულ ენაზე: (კათოლიკური გამოცემა). – ბრიუსელი, 1989. – 789 გვ. [6 ლ.].
- ახალი იერუსალიმის ბიბლია, 1990. – 2108 გვ.: ფერ. რუკები.: [40 ლ.].
- ახალი აღთქმა რუსულ ენაზე. რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1996. – 514 გვ. [3 ლ.].
- ახალი იერუსალიმის ბიბლია, 1995. – 1463 გვ. [17 ლ.].
- ბიბლია აღმოსავლურ სომხურ ენაზე. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები და სომხეთის აპოსტოლური ეკლესიის საკათალიკოსო, 1995. – 352 გვ. [7 ლ.].
- ბიბლია დანიურ ენაზე. დანიის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 1662 გვ. [31 ლ.].
- ბიბლია დასავლეთ სომხურ ენაზე (გრაბარი). სომხეთის ბიბლიური საზოგადოება, 1997. ფასი: 20-35 ლ.
- ბიბლია თანამედროვე ბერძნულ ენაზე. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები, 1997. – 511 გვ. [10 ლ.].
- ბიბლია იაპონურ ენაზე. 1998. – 409 გვ.: რუკები. [20 ლ.].
- ბიბლია ინგლისურ ენაზე. ბრიტანეთისა და უცხოეთის ბიბლიური საზოგადოება. [9 ლ.].
- ბიბლია ინგლისურ ენაზე მეფე იაკობისა. – [ოქსფორდი], 1996. – 212 გვ. [14 ლ.].
- ბიბლია პორტუგალიურ ენაზე. პორტუგალიის ბიბლიური საზოგადოება, 1994. – 381 გვ. [11 ლ.].
- ბიბლია რუსულ ენაზე (კანონიკური), რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1997. – 501 გვ.: ფერ. ილ. [7 ლ.].
- ბიბლია რუსულ ენაზე. რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1992. – 1371 გვ.: რუკები. [7 ლ.].
- ბიბლია საეკლესიო სლავურ ენაზე. რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1993. [20 ლ.].
- ბიბლია სირიულ ენაზე. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები, ანტიოქიისა და მთელი აღმოსავლეთის სირიის საპატრიარქო, 1979. – 345 გვ. [15 ლ.].
- ბიბლია ფრანგულ ენაზე. საფრანგეთის ბიბლიური საზოგადოება, 1997. – 1277 გვ.: ფერ. რუკები. [7 ლ.].
- ბიბლია ჩინურ ენაზე. ჰონგ-კონგის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 482 გვ.: ილ. [18 ლ.].
- ბიბლიის ატლასი: ქართული თარგმანი. – თბ.: გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა, 1999. – 16 გვ.: ფერ. ილ. და რუკები. [4 ლ.].
- ბიბლიის ატლასი ინგლისურ ენაზე. ბრიტანეთისა და უცხოეთის ბიბლიური საზოგადოება, 1997. – 160 გვ.: რუკა და 50 ფერადი ფოტო. [18 ლ.].
- ბიბლიის ენციკლოპედია: ერთტომეული. – [თბ.]: გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა, 1997. – 352 გვ.: ფერ. ილ., 400 ფერადი ფოტო. [15 ლ.].
- ბიბლიის ენციკლოპედია რუსულ ენაზე. რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 352 გვ.: ფერ. ილ. და რუკები. [10 ლ.].
- ბიბლიის სიმფონია რუსულ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტი, 1995. – 1340 გვ. [20 ლ.].
- დ. გუდინგი, ჯ. ლენოქსი. ბიბლია და ეთიკური განათლება. – თბ., 2000. –193 გვ. [5 ლ.].
- ებრაული ბიბლია. გერმანიის ბიბლიური საზოგადოება, 1977. – 1574 გვ. [23 ლ.].
- ებრაულ-ინგლისური ბიბლია. ისრაელის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 418 გვ. [40 ლ.].
- ვულგატა. ბიბლიის ლათინური თარგმანი. გერმანიის ბიბლიური საზოგადოება, 1994. – 1974 გვ. [15 ლ.].
- თანამედროვე ასურული ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლიბანის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 143 გვ. [7 ლ.].
- იესო ყმაწვილთა მეგობარია (ოსურ ენაზე). – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტის რუსეთის განყოფილება, 1995. – 62 გვ. [0,50 ლ.].
- იესო ყმაწვილთა მეგობარია: ქართული თარგმანი. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტი, 1995. – 64 გვ.: ფერ. ილ. [1 ლ.].
- მათეს სახარება ქურთული ენის ქურმანჯის დიალექტზე. ტექსტი მოცემულია კირილიცით და ლათინური ანბანით. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტი, 1993. – 108 გვ.: ილ. [0,30 ლ.].
- მალხაზ სონღულაშვილი. ბიბლიური მოთხრობები. – თბ., 1999. – 430 გვ.: ილ. და რუკები. [5 ლ.].
- მარკოზის სახარება ავარულ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტის რუსეთის განყოფილება, 1995. – 76 გვ. [0.50 ლ.].
- მარკოზის სახარება ლაკურ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტის რუსეთის განყოფილება, 1995. – 60 გვ. [0,50 ლ.].
- მარკოზის სახარება ოსურ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტის რუსეთის განყოფილება, 1995. – 56 გვ. [0,50 ლ.].
- რუსული ბიბლია. სინოდალური თარგმანი. – [ნ.ა.]. – 2535 გვ.: ფერ. რუკები. [14 ლ.].
- საბავშვო ბიბლია. – [1-ლი ქართ. გამოც.]. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტი, 1998. – 542 გვ.: ფერ. ილ. [7 ლ.].
- საბავშვო ბიბლია ინგლისურ ენაზე: შედგება 365 ამბისგან. – 416 გვ.: ილ. [15 ლ.].
- საბავშვო ბიბლია ინგლისურ ენაზე: ილუსტრირებული გამოცემა, 1991. [10 ლ.].
- საბავშვო ბიბლია ინგლისურ ენაზე. ინგლისის ბიბლიური საზოგადოება, 1992. – 399 გვ.: ფერ. ილ. 15 ლ.].
- საბავშვო ბიბლია ოსურ ენაზე. – [სტოკჰოლმი]: ბიბლიის თარგმნის ინ-ტი, 1993. – 518 გვ. [3 ლ.].
- სეპტუაგინტა. Septuaginta. ძველი აღთქმის წიგნები ძვ. ბერძნულ ენაზე. გერმანიის ბიბლიური საზოგადოება, 1979. – 941 გვ. [25 ლ.].
- ძველი და ახალი აღთქმა ბავშვებისთვის რუსულ ენაზე. რუსეთის ბიბლიური საზოგადოება, 1995. – 433 გვ.: ფურ. ილ. [6 ლ.].


გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები

ბიბლიის სახლი
მის.: კ. გამსახურდიას 35
ტელ.: 941979, 942181



© ქართული წიგნი

ყოველთვიური გაზეთი.
გამოდის ყოველი თვის პირველ სამშაბათს

380060, თბილისი, გუდიაშვილის ქ. 7.
ტელ.: 98-75-68, 98-36-88 მობილური: 899 548291
E-mail: biblioni@hotmail.com

დამფუძნებლები:
ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა,
შპს „ფავორიტი“

მთავარი რედაქტორი
ლევან ბერძენიშვილი



სარედაქციო კოლეგია:
ლეილა ზამბახიძე
ლევან თაქთაქიშვილი პ/მგ. მდივანი
მანანა თევდორაძე
მადონა თოდრია
ლალი კაკულია
ლეილა კაცაძე
ფერიდე კვაჭანტირაძე
ციური კოჭლამაზაშვილი
მაია მიქაბერიძე
ოლიკო ოზოლაძე
ნინო სიმონიშვილი
შუქურა ტაბიძე
ზემფირა ტყაბლაძე
ჟანა ქვათაძე
თამარ ღარიბოვა
დალი შალვაშვილი
გურამ ჟოხონელიძე
ნინო ხვედელიძე
ემზარ ჯგერენაია

გაზეთი დააკაბადონა ირინა ბულიაშვილმა